ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი, 2023

№206 (9242)

ფასი: 80 თეთრი

რატი ბრეგაძე: „ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ გაიწელა ამდენ ხანს ოთარ ფარცხალაძისთვის მოქალაქეობის შეწყვეტა“

გვ.4

ეროვნული ბიბლიოთეკა

86 მომხრე, 1 წინააღმდეგი – პრეზიდენტი ვერ გადაარჩენს!

„სალომე ზურაბიშვილმა „ქართულ ოცნებას“ პირწმინდად მოუგო!“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „დარბაზში იჯდა ერთი კაცის „კოჭლი იხვების ფერმა“, რომელსაც მიმინოსავით გადაუფრინა თავზე სალომემ და დარჩა გამარჯვებული“

„გვიახლოვდება ის დღე, როდესაც კობახიძეს მოუწევს პროკურატურაში სირბილი და ყველაფერს ბიძინას გადააბრალებს“

„სალომე ზურაბიშვილს ვერ შეაშინებენ!“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც ორივე გამოფიტული, ამოწურული ძალაა“



გვ.3

გვ.2

„პრეზიდენტის იმპიჩმენტი ჩაწყობილი ფარსი იყო“

ანა დოლიძე: „ზურაბიშვილი არასდროს არაფერში ეწინააღმდეგებოდა „ოცნებას“. პირიქით, ამყარებდა კიდეც მათ პოზიციებს“

„სალომე ზურაბიშვილი თანამდებობას დატოვებს“

მამუკა ტუსკაძე: „პრეზიდენტს შექმნილი აქვს პლაცდარმი იმისათვის, რომ გადადგეს თანამდებობიდან და ოპოზიციურ ფლანგზე აქტიური საქმიანობა დაიწყოს“

გვ.3

გვ.4

რა ბლეფს მიმართავენ პუტინი და ლუკაშენკო?

რა მდგომარეობაა „სამოკავშირეო სახელმწიფოში“, სადაც განევრიანებისკენ ოკუპირებული აფხაზეთი მიისწრაფვის

როგორი იყო მმართველი ელიტა ფეოდალურ საქართველოში

გვ.5

ვახტანგ გომელაური: „ჯერჯეროობით არაფერი არის და საიდან იგონებთ ამ ტყუილებს?!“

გვ.2

17-წლამდე ნაკრები ელიტ რაუნდში გავიდა

გვ.7

1993230720223

2 ირაკლი კობახიძე: „სალომე ზურაბიშვილმა ეს ომი წააგო 10:0“

6 ევროკავშირთან განადგურებულია რუსების 4 ბატალიონი

5 ნერვული დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

6 მამაკაცს შეყვარებულის მიმართ ალერგია გაუჩნდა

86 მომხრე, 1 წინააღმდეგი — პრეზიდენტი ვერ გადაყენებულ!

„სალომე ზურაბიშვილმა „ქართულ ოცნებას“ პირწმინდად მოუგო!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

— ბატონო გია, პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტი ჩავარდა. 86 მომხრე, ერთი წინააღმდეგი. თუკი „ქართულმა ოცნებამ“ იცოდა, რომ ეს შედეგი დადგებოდა და მათ ხმები არ ეყოფოდათ, რისთვის დასჭირდათ ეს სანახაობა?

— პუტინისთვის ერთგულების დასამტკიცებლად. მათ ჰქონდათ ვალდებულებები კრემლთან აღებული, რომ იქნებოდნენ ლოიალურები. მას შემდეგ, რაც სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა ანტირუსული განცხადებები და პროევროპული, ამათ შეეშინდათ, არ გაბრაზებულიყო კრემლში ერთი ბიძია. არ ჩაეთვალა, რომ ხელისუფლების მხრიდან ეს ორმაგი თამაში იყო. ამიტომ ალიბის შესაქმნელად წამოიწყეს ეს პოლიტიკურად მათთვისვე ძალიან დამაზიანებელი პროცესი.

— „ოცნებას“ აზიანებს ეს პროცესი? ირაკლი კობახიძეს რომ მოვუსმინოთ, უკვე ფორმალურადაა პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.

— კობახიძე რას იბჟუტურებს, ეს ნაკლებად საინტერესოა. პოლიტიკურად პრეზიდენტმა მოიგო! ძალის დემონსტრირებაც მოხდა, ანუ დაიწყეს პროცესი და ვერ დაასრულეს ვერაფრით. სასამართლოშიც გაეყოთ ხმები. ისე ვერ მოხდა, რომ სასამართლოს ცალსახა გადაწყვეტილება მიეღო. პრეზიდენტი კი თავის უფლებამოსილების ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს, რასაც აქამდე აკეთებდა. რას დაუშლიან? ანუ პირწმინდად მოუგო სალომე ზურაბიშვილმა. კობახიძე რასაც იბჟუტურებდა, ისედაც ვიცოდით. ახლა მისი ბჟუტური აღარავის აინტერესებს. რეალობა სულ სხვაგვარია.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ პროცესით პრეზიდენტის ინსტიტუტი და პირადად სალომე ზურაბიშვილი არ დაზიანდა?



გია ხუხაშვილი: „დარბაზში იჯდა ერთი კაცის „კოჭლი იხვების ფერმა“, რომელსაც მიმინოსავით გადაუფრინა თავზე სალომემ და დარჩა გამარჯვებული“

— პოლიტიკურად სალომე ზურაბიშვილი არა თუ დაზიანდა, პირიქით, უფრო ძლიერია დღეს, ვიდრე იყო გუშინ.

— ბატონო გია, სხვათა შორის არც ოპოზიციაში იყო ერთსულოვნება. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სალომეც ამ თამაშის ნაწილია და ის ბიძინა ივანიშვილის თამაშს თამაშობს.

— გასაგებია ახლა ეს განცხადებები. მე ერთი კითხვა დამრჩა ამ ყველაფრიდან, ნაცებს უფრო ეჯავრებათ ქალბატონი სალომე თუ ქოცებს?! კარგიც არის, ორივეს უნდა ეჯავრებოდეს! ნაცები და ქოცები ერთი ფუძიდან მოდიან, ერთნაირად აზროვნებენ. ორივეს თავისი მოტივი აქვს, ქოცებს ის პრობლემა აქვთ, რაზეც უკვე გელაპარაკეთ, ნაცებს კი ჰგონიათ, რომ პროდასავლურ ელექტორატს სალომე ზურაბიშვილი წაართმევს. ამიტომ ამ შეთქმულების თეორიებს ავითარებენ და კიდევ განავითარებენ.

— ქოცები კი აბრალებენ, რომ სწორედ ნაცებთან არის შეკრული სალომე.

— კი, ასეა. ნაცები კი ამბობენ, რომ ქოცებთანაა შეკრული. აი, ესაა მათი თამაშის წესები. ჩემზეც იგივეს ამბობენ. საერთოდ, დღეს განმარტება იცით რა არის საღად მოაზროვნე ადამიანის? ნაცები და ქოცები — ორივე რომ გაგინებს, ეს არის იმის პირდაპირი მანიშნებელი, რომ საღად აზროვნებ.

— რა ახალ პროცესებს ჩაუყარა საფუძველი ამ ყველაფერმა?

— მე ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილს უკვე გაუჩნდა ვალდებულება, რომ უფრო აქტიური იყოს, როგორც ინსტიტუციურად, ასევე პოლიტიკურად. ქვეყანა ახლა არის გზაგასაყარზე, მას ახლა აქვს ძალიან მაღალი ავტორიტეტი საზოგადოებაში და უნდა მიყვეს ამ პროცესს..

— ირაკლი კობახიძემ პროკურატურაც ახსენა, ახლა იქ გადაინაცვლებს საკითხიო. ეს რის მანიშნებელია, შანტაჟის?

— არც არაფრის. ესაა ისტერიკა. ისტერიკული ბავშვის ფეხების ბაკუნი. ვის ეშინია მაგის პროკურატურის?! პროკურატურით მოინდომა შეშინება?! უღირსი რომ არის მისი ყველა განცხადება და საქციელი, ეს გასაგებია, მაგრამ მე ვიტყვი, რომ ბუმერანგივით მიუბრუნდება ეს ყველაფერი. პროკურატურაში მას მოუწევს ცოტა ხანში ხირბილი! მე რატომღაც ასე მგონია და ბიძინაზე ჩვენებების მიცემა! აბა, თვითონ ხომ არ დაიბრალებს, რა თქმა უნდა, ბიძინას შეაწმენდს ხელს. მას დააბრალებს ყველაფერს. გვიახლოვდება ის დღე, როდესაც კობახიძე ყველაფერს გადააბრალებს ბიძინას. მისნაირი ადამიანები სწორედ ასე იქცევიან. ჯერ ერთი, როგორ ელაპარაკება პრეზიდენტს, მით უმეტეს, ქალს! ქალის პატივისცემა საქართველოში ვიცით და რაც უნდა გაბრაზებული იყო, ასეთი დამოკიდებულება კაცს არ ეკადრება.

— ძალიან ცუდი დამოკიდებულება და ტონი აჩვენეს უმრავლესობის, თუ პრეზიდენტს დავესესხებით, „პატარა კაცებმა“...

— დიახ, აბსოლუტური უღირსობა, უპატივცემულობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასაკითაც უფროსია. სრული თავხედობა, უტიფრობა და უღირსობა აჩვენეს, მეტი არაფერი! რაც არიან, ის აჩვენეს, მეტი არაფერი. მე კი არ გამკვირვებია. დღეს ჩვენ ვიხილეთ შემდეგი სურათი: დარბაზში იჯდა ერთი კაცის კოჭლი იხვების ფერმა, რომელსაც მიმინოსავით გადაუფრინა თავზე სალომემ და დარჩა გამარჯვებული.

— ცალსახად ამ პროცესში პრეზიდენტი დარჩა გამარჯვებული?

— რა თქმა უნდა! მე ამაში ეჭვი არ მეპარება. გაიზომება ახლა და ვნახავთ იმ გაზომვაში სად იქნება კობახიძე და სად იქნება სალომე ზურაბიშვილი.

— რა აჩვენა ამ პროცესში ოპოზიციამ? რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო დარბაზში არშესვლა? არ ენდობიან ერთმანეთს?

— რომ არ შევიდნენ, ეს არის სწორი! ერთმანეთის უნდობლობაში არ არის აქ საქმე. რა იყო იქ სადისკუსიო და სადებატო? რაზე უნდა შესულიყვნენ ამ აბსურდულ პროცესზე?! არ უნდა შესულიყვნენ. მერე, მით უმეტეს, კენჭისყრა როდესაც ფარულია, როდესაც საზოგადოებაშიც არ არის დეპუტატების მიმართ მაღალი ნდობა, რა თქმა უნდა, არშესვლით მოიხსნა ყველა კითხვა, მერე ეჭვები რომ არ ყოფილიყო. ეს იყო ნამდვილად სწორი ნაბიჯი.

— ბატონო გია, დღევანდელი დღის შემდეგ, რამდენად შეიძლება ვიხილოთ ახალი ოპოზიციონერი ლიდერის დაბადება სალომე ზურაბიშვილის სახით?

— მე ვფიქრობ, აბსოლუტურად რეალურია, თუ ის გადაწყვეტს და ვფიქრობ, რომ მან უნდა გადაწყვიტოს პოლიტიკურ პროცესში აქტიური მონაწილეობა. ეს აბსოლუტურად რეალურია. მას დღეს აქვს მაღალი ავტორიტეტი, თან ისეთ მომენტში, როდესაც წყდება ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ბედი. არა თუ მის სურვილზეა ეს ყველაფერი დამოკიდებული, არამედ ამ ვითარებაში ეს მისი ვალდებულებაა, რომ პოლიტიკურ პროცესში იყოს აქტიური.

„პრეზიდენტის იმპიჩმენტი ჩაწყობილი ფარსი იყო“

ანა დოლიძე: „ზურაბიშვილი არასდროს არაფერში ეწინააღმდეგებოდა „ოცნებას“. პირიქით, ამყარებდა კიდეც მათ პოზიციებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანა დოლიძე პასუხობს.

— ანა, პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა ჩავარდა. საერთოდ, რას ემსახურებოდა ეს ყველაფერი? ხომ თავიდანვე იცოდა „ქართულმა ოცნებამ“, რომ საკმარისი ხმები არ ჰქონდა?

— პირველივე დღიდან ვამბობდი, რომ ეს იყო ჩაწყობილი ფარსი, „ქართული ოცნების“ თამაში და ახლა მიმყარდება ეჭვები, რომ ამ ფარსის მონაწილე, თავიდან ბოლომდე, იყო სალომე ზურაბიშვილი. ფაქტობრივად, ორი თვე აბსოლუტურ სისულელეზე ლაპარაკობდა მთელი ქვეყანა, მაშინ, როდესაც, პირველივე დღიდან ვიცოდით, რომ კობახიძეს, ამ გადაწყვეტილების მისაღებად, საკმარისი ხმები არ ჰქონდა. სალომე ზურაბიშვილი არის თანაავტორი იმ სისტემის, რა სისტემაზეც დღეს ვლაპარაკობთ და ვუპირისპირდებით. ყველა გაგებით, გენდერული გაგებით, სასამართლოს კლანის დამკვიდრებით, კობახიძის გაძლიერებით და მე ვფიქრობ, რომ დღეს ძალიან კარგი დროა, ამ ყველაფერზე ღიად ვისაუბროთ.

— რა გაფიქრებინებთ, რომ სალომე ზურაბიშვილი ამ პროცესის თანამონაწილეა?

— ფრენების საკითხი შეიქმნა ივლისში. რატომ მაინცდამაინც სექტემბერში გამოაცხადა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა, რომ არ ემორჩილება?! სად იყო ორი თვე?! ამას გარდა, ამ სისტემის შექმნა, სასამართლო კლანის გაძლიერება, კობახიძის გაძლიერება, ქალების ჩაგვრა — ამ ყველაფერში ხელი შეუწყო პრეზიდენტმა მმართველ გუნდს. ისიც ამ პროცესების მონაწილე იყო, არასდროს არაფერში ეწინააღმდეგებოდა. პირიქით, ამყარებდა კიდეც მათ პოზიციებს.

— ეს არის ივანიშვილის თამაში და ამის მონაწილეა საქართველოს პრეზიდენტიც?

— ზუსტად ასეა. ეს არის ბიძინა ივანიშვილის თამაში.

— პრეზიდენტმა იმპიჩმენტამდე რამდენიმე საათით ადრე მოქალაქეობა შეუწყვიტა ოთარ ფარცხალაძეს, რომელსაც „ოცნება“ ასე მფარველობს. ამაზე რას იტყვით?

— უკვე დაგვიანებულია ეს ყველაფერი. ასევე დაგვიანებულია ის ვეტოც, რომელიც პრეზიდენტმა გუშინ გამოიყენა. არათანმიმდევრულია ეს ყველაფერი.

ირაკლი კობახიძე: „სალომე ზურაბიშვილმა ეს ომი წააგო 10:0“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, თუ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეიწყალებს, ეს ამომრჩევლების მიმართ კიდევ ერთი ღალატი იქნება.

კობახიძემ იმედი გამოთქვა, რომ სალომე ზურაბიშვილი „ამ წითელ ხაზს არ გადაკვეთს“.

— ეს არის მისი საქმე. ამას თუ გააკეთებს, ეს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთი ღალატი იქნება იმ ამომრჩევლის მიმართ, ვინც 2018 წელს მხარი დაუჭირა. კიდევ ერთ ღალატზე თუ წავა, ეს მისი საქმეა, არ ვიცი. ეს ერთი წითელი ხაზი აქვს და იმედია, იმ წითელ ხაზში მაინც დარჩება, — განაცხადა კობახიძემ.

ამასთან, საპარლამენტო უმრავლესობის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ დღეს საქართველოს პრეზიდენტმა 10:0 წააგო.

— სალომე ზურაბიშვილმა ომი გამოუცხადა არა ირაკლი კობახიძესა და „ქართულ ოცნებას“, არამედ საქართველოს კონსტიტუციას და სახელმწიფო ინსტიტუტებს. ეს ომი მან წააგო 10:0. რა თქმა უნდა, სალომე ზურაბიშვილი არის 10:0-ზე წაგებული, — აღნიშნა კობახიძემ.

გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილი მმართველ გუნდს საპრეზიდენტო კამპანიის დროს არ უჯერებდა.

— რეალურად მართლა არ გვიჯერებდა. ჩვენ მხარდაჭერას ვუცხადებდით, ვეხმარებოდით, მაგრამ იყო ბევრი საკითხი, რაშიც არ გვიჯერებდა. რეალურად რომ დაეჯერებინა, პირველ ტურში 39%-ზე ნაკლებს არ მიიღებდა. მეორე ტურში უფრო მეტად დაგვიჯერა, — განაცხადა კობახიძემ.

ვახტანგ გომელაური: „ჯერჯერობით არაფერი არის და საიდან იგონებთ ამ ტყუილებს?!“

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური ტყუილს უწოდებს გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, შესაძლოა, მან შს მინისტრის თანამდებობა დატოვოს.

აღნიშნულის შესახებ ვახტანგ გომელაურმა ჟურნალისტების შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

— ჯერჯერობით, არაფერი არ არის და საიდან იგონებთ ამ ტყუილებს?! — განაცხადა გომელაურმა მედიასთან სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, სადაც აშშ-ის ახალმა ელჩმა, რობინ დანიგენმა ქართველ პოლიტიკოსებთან და მესამე სექტორთან მიღება გამართა.

— მივულოცეთ ქალბატონ ელჩს, წარმატებები ვუსურვეთ და შევხვდებით ძალიან მალე, — განაცხადა გომელაურმა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სალომე ზურაბიშვილს ვერ შეაშინებენ!“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც ორივე გამოფიტული, ამოწურული ძალაა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, პრეზიდენტის იმპიჩმენტი ჩავარდა. სალომე ზურაბიშვილი კიდევ ერთი წელი იქნება საქართველოს პრეზიდენტი. რამდენად რთული ერთი წელი ელოდება? კობახიძემ უკვე გააკეთა მინიშნება პროკურატურაზე.

– სიმართლე გითხრათ, ცოტა გაუგებარია, რას ნიშნავს პრეზიდენტის პროკურატურით ან დაშინება ან დაშანტაჟება. პრეზიდენტს ვერ დაიჭერენ. ამას კონსტიტუცია ამბობს. სხვა ამბავია, რას ამბობს კობახიძე. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით უნდა გადააყენონ თანამდებობიდან და შემდეგ ერთვება პროკურატურა, თუ რასაკვირველია, სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა.

– თუ ძალიან გაბრაზდება „ოცნება“, მეორე იმპიჩმენტიც არ არის გამორიცხული?

– დიახ, ასეთი რაღაც გვითხრეს, მაგრამ თუ მეორე წრეზე წავლენ და მეორეჯერ მოუწყობენ იმპიჩმენტს, მაშინ ისევ იგივე სურათი უნდა განმეორდეს. უნდა წავიდეს საქმე საკონსტიტუციო სასამართლოში, იქ რა დასკვნაც დაიდება, უკვე ცნობილია, მერე პროცესი უნდა გადავიდეს პარლამენტში, იქაც რითი დამთავრდება ეს ყველაფერი, ასევე ცნობილია. ვერაფერს უზამენ. ვერც ვერაფრით შეაშინებენ სალომე ზურაბიშვილს. ეს კარგად გამოჩნდა. ის მედგრად დგას.

ამდენად, რას გულისხმობდა ირაკლი კობახიძე, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ იგივე ფინალით დასრულდება ეს ყველაფერი. საერთოდ, სალომე ზურაბიშვილი, როგორც არასდროს, ისეა დღეს თავისუფალი. მით უფრო, იმპიჩმენტის პროცესის ჩავარდნის შემდეგ. მას აქვს სრული მხარდაჭერა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. მისი მხარდამჭერი განცხადებები დასავლეთისგან გაკეთდა და ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო გაძლიერდება.

– თქვენ მეორე წრე ახსენეთ, რატომ შეიძლება ეს გააკეთოს „ოცნებამ“, ისევ წაგებული რომ გამოვიდეს?

– ერთადერთი მიზეზით – ქვეყანაში რეალური პრობლემები გადაფაროს და მთელი საინფორმაციო სივრცე პრეზიდენტის იმპიჩმენტით იყოს მოცული, მთელმა ქვეყანამ ამით იცხოვროს.

თქვენ მკითხეთ, რამდენად რთული იქნება დარჩენილი ერთი წელი პრეზიდენტისთვის – ეს ერთი წელი პრეზიდენტისთვის კი არა, ქვეყნისთვის იქნება ურთულესი.

„ქართული ოცნება“ ძალიან სწრაფად კარგავს ამომრჩეველს. დღეს, ქვეყნის მოქალაქეების 65 პროცენტი ოპოზიციურადაა განწყობილი. ეს მშვენივრად იცის ხელისუფლებამ. მათ ასევე იციან, რომ 2024 წელს არ იქნება მარტივი არჩევნები. ამიტომ, მზად არიან ყველაფრისთვის. ქვეყანაში ურთულესი სოციალური, ეკონომიკური გარემო არის. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ხსნას ემიგრაციაში ხედავს. კატასტროფულად არის შემცირებული დემოგრაფიული მონაცემები. ქვეყნიდან ედინება ის თაობა, რომელმაც უნდა ააშენოს ეს ქვეყანა და დოვლათი შექმნას. ამ ფონზე, რასაკვირველია, არ იქნება მშვიდი არჩევნები. მით უმეტეს, საქართველოში როგორი ტრადიციები გვაქვს ასეთი მნიშვნელოვანი არჩევნების ჩატრების, კარგად მოგეხსენებათ. ძალიან მძიმე წელი გველოდება. გარდაუვალია საარჩევნო ბატალიები.

– კობახიძემ თქვა, ერთი წელი სალომე ზურაბიშვილი იქნება არა საქართველოს, არამედ ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტი. მათი ცნობილი პოლიტიკური ხრიკი – ყველა ნაციონალია, ისევ იმუშავებს?



– როგორც ჩანს, მთელ წინასაარჩევნო კამპანიას მმართველი ძალა ისევ ამაზე აააგებს. ჩვენ თუ არა, ნაცები მოვლენ, რომ ვინც ჩვენთან არ არის, ყველა ნაცია – აქამდე ამ ლოზუნგით არიან. არც „ქართულ ოცნებას“ და არც ნაციონალურ მოძრაობას არაფერი ახალი არ აქვს ამომრჩევლისთვის სათქმელი. ორივე გამოფიტული, ამოწურული ძალაა. ორივე ამ ქვეყნის წარსულია. ამიტომ არის მცდელობა, რომ ყველა ნაციონალია.

– იმუშავებს?

– ვერ გეტყვით. არჩევნების ბედი ძალიან ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული. ეს იქნება შიდა და, რასაკვირველია, გარე ფაქტორებზე დამოკიდებული. კიდევ ერთი წინასაარჩევნო მესიჯი, რა თქმა უნდა, იქნება – მშვიდობასა და სტაბილურობას ვინარჩუნებთ. თუმცა, ოჩამჩირეში რუსეთი სამხედრო-საზღვაო ბაზას რომ აშენებს, იმას არაფრად თვლიან. არჩევნებიც ამ თემებით ჩაივლის. ვნახოთ, როგორი იქნება ამომრჩევლის განწყობა, როგორი იქნება ამ ყველაფერზე მისი რეაქცია.

„სალომე ზურაბიშვილი თანამდებობას დატოვებს“

მამუკა ტუსკაძე: „პრეზიდენტს შექმნილი აქვს პლაცდარმი იმისათვის, რომ გადადგეს თანამდებობიდან და ოპოზიციურ ფლანგზე აქტიური საქმიანობა დაიწყოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე, თქვენ დაწერეთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესების შედეგზეა დამოკიდებული უახლოესი 5 წლის საქართველოს მომავალი. საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა. თქვენ მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით?

– რასაც ველოდებოდი, რეალურად, საკონსტიტუციო სასამართლომ ის გადაწყვეტილება მიიღო. ფაქტობრივად, კონსტიტუცია ნამდვილად დაირღვა. სამართლის მთავარი თვისება ესაა. გადაწყვეტილება ზუსტად 52-ე მუხლის დარღვევის გამო მიიღო. სამართლებრივად მოთხოვნა სწორად იყო დაყენებული. შესაბამისად, სასამართლომაც სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ამას გეუბნებით, როგორც იურისტი.

სასამართლომ მიიღო კანონიერი, სამართალსა და კანონზე დამყარებული გადაწყვეტილება, მაგრამ პროცესი ნამდვილად პოლიტიკურია. ამას ვერ გავექცევით, რადგან „ოცნებას“ შეეძლო, ეს პროცესი არ წამოეწყო.

სასამართლომ სარჩელის მოთხოვნას სამართლებრივად სწორი პასუხი გასცა და დაადგინა, რომ 52-ე მუხლის დარღვევა ნამდვილად იყო – პრეზიდენტი მთავრობის თანხმობის გარეშე ვიზიტებში არ უნდა დადიოდეს.

თუმცა, პოლიტიკური მდგენელიც არის. ამიტომ ვამბობდი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესი უახლოეს 5 წელს განსაზღვრავდა. სალომე ზურაბიშვილმა უახლოეს დღეებში რამდენიმე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

თუ სალომე ზურაბიშვილი პოლიტიკაში დარჩენას მართლა აპირებს და პოლიტიკოსობა უნდა, სიტუაცია უნდა შეცვალოს.

– როგორ უნდა შეცვალოს?

– სალომე ზურაბიშვილმა თანამდებობა უნდა დატოვოს. ახლა მას ბრწყინვალე შანსი გაუჩნდა. ჩოგბურთის ტერმინით რომ ვთქვათ, პოლიტიკური სატოპკე აქვს აწეული, ანუ ბურთი ჰაერშია აგდებული და მხოლოდ ხელი უნდა ჩაარტყას.

– ეს რას ნიშნავს?

– ეს პოლიტიკურად მნიშვნელოვან რამეს ნიშნავს – სალომე ზურაბიშვილს შექმნილი აქვს პლაცდარმი იმისათვის, რომ გადადგეს თანამდებობიდან და ოპოზიციურ ფლანგზე აქტიური საქმიანობა დაიწყოს.

შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, რომ სალომე ზურაბიშვილი ამას, დღეს თუ არა, გარკვეული პერიოდის შემდეგ მაინც გააკეთებს. მისი გადადგომის ბოლო ვადა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე მიღებული გადაწყვეტილება იქნება, ანუ ყველაზე ცუდ შემთხვევაში 2 თვეში უნდა გადადგეს.

სალომე ზურაბიშვილი დღეს, ხვალ, ზეგ თუ არა, დეკემბერში მაინც უნდა გადადგეს და ოპოზიციურ ფლანგს სათავეში ჩაუდგეს. ახლაც კარგი მომენტია, მაგრამ მომავალში კიდევ უფრო კარგი მომენტი იქნება.

– რა მომენტი იქნება?

– ევროკავშირი კანდიდატის სტატუსზე აუცილებლ;ად უარს გვეტყვის. სალომე ზურაბიშვილისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება და შეუძლია პოლიტიკური ოპოზიციური ლიდერი გახდეს. ეს იქნება ჭეშმარიტად მესამე ძალა, რომელსაც შანსი ექნება, რაღაც ხმები მიიღოს.

– მესამე ძალა როგორ იქნება, თუ სალომე ზურაბიშვილი დღევანდელ ოპოზიციურ ძალებს დაეყრდნობა, ანუ არსებულ ძალებს სათავეში ჩაუდგება? მის უკან არავითარი ძალა არ დგას, რომელიც დღევანდელ ოპოზიციურ ძალებთან არ არის ასოცირებული.

– სალომე მარტო ხომ არ იქნება. თუ ის ოპოზიციაში წავა, რომელიღაც პოლიტიკურ პარტიასთან უნდა დადგეს. ახლა იქმნება ნიკა მელიას პოლიტიკური პარტია, რომლის შექმნა დღე-დღეზე გამოცხადდება.

– მელიას პარტიაც იგივე ნაცმოძრაობის ხალხით იქნება დაკომპლექტებული, რომელიც ზოგადადაც ნაცმოძრაობის პასუხისმგებლობის თანაზიარია.

– მერე რა? დღეს სალომე ზურაბიშვილი, რეალურად, ნაცმოძრაობასთანაა, ძირითადად მათ მხარეზეა გადასული, ნიკა მელია დღეს-ხვალ ახალი პარტიის დაფუძნებაზე ღიად გამოაცხადებს. ამდენ ხანს იმიტომ არ აცხადებს, ელოდებოდა. ნიკა მელიას დიდი გუნდი მიჰყავს. სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტი დაწყებული იყო და პროცესის დასრულებას უცდიდა. ამაზე შეხვედრა და კონსულტაციებიც იყო.

– ასეთ შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილს ხმას ვინ მისცემს? ნაცმოძრაობის ამომრჩევლის ნაწილი?

– სალომე ზურაბიშვილი ლიდერად მოიაზრება. ის პროდასავლურ ძალებს ჩაუდგება სათავეში. სალომე ზურაბიშვილი არ არის გასვრილი ხალხის წამებაში. შესაბამისად, თუნდაც ყოფილ ნაცმოძრაობასთან ერთად გარკვეულ ხმებს მიიღებს. მისი 10-20%-იანი გუნდი პარლამენტში რაღაც ამინდს შექმნის.

– ანუ თქვენ „ოცნების“ შემცვლელი ძალის გამოჩენაზე არ საუბრობთ?

– „ოცნების“ შემცვლელი ძალა არ ჩანს. არჩევნებამდე ერთი წელი დარჩა. საარჩევნო კამპანია დაწყებულია. ერთ წელიწადში ნამდვილად არაფერი შეიცვლება. 2012 წელს ოპოზიციას სათავეში გავლენიანი, ძლიერი ლიდერი ჩაუდგა და მაშინაც კი საეჭვო იყო, ერთი წელი ეყოფოდა თუ არა. მით უმეტეს, დღეს პოლიტიკურ არენაზე ისეთი ვითარება არ არის, პროგნოზი გავაკეთოთ, რომ ხელისუფლება იცვლება. 2024 წელს ხელისუფლება არ შეიცვლება.

– მაშინ სალომე ზურაბიშვილის ოპოზიციის ლიდერობა რას შეცვლის?

– შეიცვლება ის, რომ 2024 წლიდან საქართველოს სხვა სახის ოპოზიცია ეყოლება, რომელსაც ვერ წამოაძახებენ, ადამიანებს აწამებდიო. მაგალითად, თუ სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის ლიდერი იქნება და 2024 წლისთვის პარლამენტში ამ გზით მოხვდება, ის 4 წელი კიდევ იქნება საქართველოს პარლამენტში. შეიძლება უმცირესობის ლიდერადაც მოგვევლინოს.

– სალომე ზურაბიშვილმა გადადგომაზე უარი თქვა. მომავალშიც რომ არ გადადგეს? მე უფრო მგონია, პრინციპის გამო არ გადადგება – როგორც ახლა თქვა, ისე იტყვის მომავალშიც – კი, თქვენ იმპიჩმენტი მომიწყეთ, მაგრამ მე არ გადავდგებიო.

– იმიტომ უნდა გადადგეს (ალბათ, ბოლოს გადადგება), რომ პრეზიდენტის რეზიდენციაში უსაქმურად უნდა იჯდეს, ხელისუფლება არცერთ საგარეო ვიზიტს არ დაუკმაყოფილებს. პრეზიდენტი კანონის დამრღვევი გამოვიდა. ეს ჩვეულებრივი სამოქალაქო დავაა, კრიმინალური არ არის, მაგრამ პრეზიდენტმა კონსტიტუციის მუხლი დაარღვია.

ანუ პრეზიდენტი კანონდამრღვევია. იყაჩაღა, მუხლი დაარღვია, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს ცნობა არ მისცა, სულერთია, მაინც კანონდამრღვევია, თითქმის ერთიდაიგივეა.

ე.ი. ხელისუფლება სალომე ზურაბიშვილს არცერთ საერთაშორისო ვიზიტს არ დაუფინანსებს და თანხმობას არ მისცემს. პრეზიდენტად მხოლოდ კაბინეტში ჯდომისთვის ხომ არ დარჩება. ერთადერთი ფუნქცია აქვს დარჩენილი, საერთაშორისო ვიზიტები და დღევანდელი დღიდან ამის უფლებაც აღარ ექნება.

მარტო არ წავა. თუ მარტო წავა, იმპიჩმენტის საკითხი ხომ მთელმა მსოფლიომ გაიგო. შესაბამისად, სალომე ზურაბიშვილი დღეიდან არალ;ეგიტიმურადაა ცნობილი სასამართლოს მიერ, ანუ უმაღლესი ორგანოს მიერ, ვინც კონსტიტუციას აკონტროლებს და კონსტიტუციის დარღვევაზეა პასუხისმგებელი.

სალომე ზურაბიშვილს მიტინგები და აქციებიც კი არ დასჭირდება „გადადექიო“. წესით და რიგით, მისი მრჩევლები, ალბათ, ურჩევენ, რომ უკვე დროა, გადადგეს. რადგან ნებისმიერ შემთხვევაში მართლა სახლში უნდა იჯდეს.

დღეიდან სალომე ზურაბიშვილი ვერცერთ საერთაშორისო ვიზიტში ვერ წავა. გამორიცხულია „ქართულმა ოცნებამ“ ამ ფაქტის შემდეგ, თავის თავს გადააბიჯოს. როგორც უნდა უნდოდეთ (დარღვევა სასამართლომაც კი აღიარა), მის საზღვარგარეთ ვოიაჟს თანხმობას არ მისცემენ.

შესაბამისად, სალომე ზურაბიშვილმა, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან, ფუნქცია დაკარგა, მაგრამ ის უღირსი ადამიანი ხომ არ არის.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რა მდგომარეობაა „სამოკავშირეო სახელმწიფოში“, სადაც გაწევრიანებისკენ ოკუპირებული აფხაზეთი მიისწრაფვის

რა ბლეფს მიმართავენ პუტინი და ლუკაშენკო?

მარიამ მჭედლიშვილი

საიმპიჩმენტო ორომტრიალშიც კი ქართველი პოლიტიკოსების ნაწილი არ ივიწყებს ურთულეს გეოპოლიტიკურ მდგომარეობასა და უსაფრთხოების პრობლემებს. ამიტომაც ითვლება, რომ იმპიჩმენტის წამოწყება საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ არის რეალური პრობლემებიდან ყურადღების გადატანა.

ბოლო დროს ოკუპირებულ აფხაზეთთან დაკავშირებულ გადაუჭრელ პრობლემატიკას დაემატა აფხაზეთის საპორტო ქალაქ ოჩამჩირეში რუსული სამხედრო საზღვაო ბაზის შექმნის დაანონსება და აქტიურობის ახალი ტალღა რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოში აფხაზეთის შეყვანის თაობაზე.

ამ მხრივ აფხაზეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა ფაფხურობს. იმავდროულად, კრემლთან დაახლოებული რუსი ექსპერტები ლაპარაკობენ აფხაზეთისა და ცხინავალის რეგიონის რუსეთ-ბელარუსის კავშირში შეყვანის აუცილებლობაზე. ამ პირობებში გამორიცხული არაა, რომ ამ რეგიონების „დამოუკიდებლობა“ ბელარუსის დე ფაქტო პრეზიდენტმა ლუკაშენკომაც აღიაროს.

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების პროკრემლისტურმა წარმომადგენლებმა და ზოგადად რუსეთზე ორიენტირებულმა პოლიტიკოსებმა დანარჩენ საქართველოში, დიდი ალბათობით, ცოტა რამ იციან იმაზე, რომ ბელარუსში არსებობენ ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის აქტიური მომხრეები.

ბელარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა ლუკაშენკოს ოპონენტი, სამოქალაქო კამპანია „ევროპული ბელარუსის“ ლიდერი **ანდრეი სანიკოვი.**

– ბევრი საუბარი მიდის იმაზე, არის თუ არა ბელარუსში რუსეთის ბირთვული რაკეტები. თქვენთვის რა არის ამაზე ცნობილი?

– ვერ ვიტყვი, არის თუ არა ეს რაკეტები ბელარუსის ტერიტორიაზე. შეუძლებელია, დაუჯერო პუტინსა და ლუკაშენკოს. ისინი მუდმივად იტყუებიან. ლუკაშენკო ამბობდა, ყველაფერს აღვადგენთო. ვერაფერს აღადგენს. ბირთვული იარღის შესანახი ნაგებობა ურთულესი რამეა. ის, რაც ადრე იყო ბელარუსში, დიდი ხანია, გამოუსადეგარი გახდა. პუტინმაც განაცხადა, ბირთვული იარაღის გატანა ხდებაო. ეს ყველაფერი ბლეფია. არც ამის დამადასტურებელი მასალები არსებობს. ჯერჯერობით მიდის პუბლიკის ნერვებზე თამაში.

ამის მიუხედავად, სიტუაცია სახიფათოა. რუსეთმა მსოფლიოს გამოუცხადა, რომ ეს იარაღი განთავსდება ბელარუსის ტერიტორიაზე. ამის წინააღმდეგ ზომებია მისაღები.

– რა ზომები?

– ნებისმიერი ზომები. რუსეთი უნდა გააფრთხილონ, რა მოჰყვება ამ იარაღის გამოჩენას. დღეს ნატო უცნაურად იქცევა. ალიანსის წარმომადგენლები ამბობენ, რომ საშიშროებას ვერ ხედავენ და სიტუაციას აკვირდებიან. დასავლეთის ასეთი საქციელი ნიშნავს, რომ მათ აბსოლუტურად არ ესმით დიქტატორების – ამ პატარა, მხდალი და ავადმყოფი ადამიანების მენტალიტეტი.

რუსეთი უნდა გააფრთხილონ, რომ განახორციელებენ დარტყმებს რუსეთის ჯარების განლაგების მიმართულებით. ამის უფლება აქვთ, ვინაიდან რუსეთი აგრესორია და ომს აწარმოებს. ცოტა ხნის წინ სამხედრო მანევრები ჩატარდა ბალტიის ქვეყნებში. გამოცხადდა, რომ ეს არის ნატოს მეხუთე მუხლის (კოლექტიური თავდაცვის) ტესტირება. ეს კარგი სიგნალია, მაგრამ მათ ისიც უნდა თქვან, რას იზამენ შემდეგ. ნებისმიერი რადიუსის, ყველაზე მიზერული რადიუსის ბირთვული იარაღის გამოყენება ნიშნავს სტრატეგიულ ბირთვულ იარაღს. ამ შემთხვევაში იცვლება ომის მთელი სტრატეგია.

– ესე იგი, ნატომ უნდა გამოაცხადოს, რა იქნება შემდეგ, თუ ეს მოხდა?

– დიახ. გავიხსენოთ იუგოსლავიის დაბომბვა, როცა იქ გენოციდი იყო. მილოშევიჩი ბევრჯერ გააფრთხილეს. მან ცეცხლთან თამაში გააგრძელა და მიიღო კიდეც. მჭიდროდ ვთანამშრომლობდი სერბებთან, მილოშევიჩის ოპოზიციასთან. მათ არ გაუპროტესტებიათ ის გადაწყვეტილება, რომელიც კლინტონმა და ნატომ მიიღეს.

– შეუძლიათ თუ არა პუტინსა და ლუკაშენკოს ბირთვული იარაღის გამოყენება?

– ეს ავადმყოფი ხალხია, აფეთქებული ტვინებით. გარდა იმისა, რომ ავად არიან, ისინი კუთხეშიც მიამწყვდიეს. მათგან არაფერია გასაკვირი. ამიტომ, მათ მიმართ უნდა იყოს მკაფიო, საერთაშორისო სამართლის შესატყვისი გაფრთხილებები.

ლუკაშენკო პუტინის მარიონეტია და მას ვერასდროს ექნება კონტროლი ბირთვულ იარაღზე. რუსეთში ბევრი განსხვავებული ჯგუფია. ბირთვული ომი ყველას არ უნდა.

– ცნობილი მოვლენების შემდეგ „ვაგნერელთა“ (რუსეთის კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი“) ნაწილი აფრიკაში გაემგზავრა, ზოგიერთი მათგანი რუსეთში დაბრუნდა, ხელი მოაწერა კონტრაქტს და აგრძელებს უკრაინელების ხოცვას. ათასობით „ვაგნერელი“ ბელარუსის ტერიტორიაზე დარჩა. რისთვის სჭირდება ისინი ლუკაშენკოს?

– ისინი ლუკაშენკოს კი არა, პუტინს სჭირდება. ლუკაშენკო მათზე ფულს არ დახარჯავს. ლუკაშენკოს ექნება მუდმივი შიში, რომ მის წინააღმდეგ რაიმე არ მოიმოქმედონ. პუტინი ბელარუსში „ვაგნერელებს“ აკავებს უკრაინელების დასაძაბად. ეს მუდმივი ტაქტიკაა, რომლის თანახმად, უნდა შენარჩუნდეს დაძაბულობა ბელარუს-უკრაინის საზღვარზე.

– ევროკავშირის ტერიტორიაზე დივერსიებიც იქნება დაგეგმილი?

– ესეც შესაძლებელია. პოლონეთში არც ისე დიდი ხნის წინ დააკავეს 2 პროპაგანდისტი (რუსი). ვფიქრობ, რომ სადაზვერვო საქმიანობა გაჩაღებულია, მათ შორის, პოლონეთის ტერიტორიაზე.

– საკმარისია თუ არა ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგ?

– არ არის საკმარისი. ერთი წლის განმავლობაში სანქციები (ლუკაშენკოს რეჟიმის მიმართ) არ ყოფილა. ახლა რაღაც სანქციები შემოიღეს. „საფულეების“ ნახევარი არ ხვდება ამ სანქციებში. ევროკავშირთან ტვირთბრუნვა იზრდება.

– როგორ უყურებთ იდეას, რომ დასავლეთმა სრულად შეწყვიტოს ვაჭრობა ბელარუსთან?

– ეს მაშინვე იმუშავებდა. ნებისმიერი სანქციები მორალურად გამართლებულია, ვინაიდან არიან პოლიტიკური პატიმრები.

– ცნობილია, რომ მხარს უჭერთ ბელარუსის გაწევრიანებას ევროკავშირში. ნატოს ნაწილიც უნდა გახდეს ბელარუსი?

– ერთმნიშვნელოვნად. მეტსაც გეტყვით, ბელარუსის გარეშე ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ვერ მოხდება. უკრაინა ევროპის უსაფრთხოების პრობლემას ვერ წყვეტს.

„სალომე ზურაბიშვილი თანამდებობას დატოვებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანია.

ღირსების საკითხიც არის, ტყუილად რატომ უნდა იჯდეს სასახლეში და ერთი წელი ხელფასი მიიღოს მაშინ, როცა, საერთოდ, არანაირი ფუნქცია არ ექნება. მოკლედ, სალომეს უფლებები ბოლომდე შეეზღუდა.

ამის გამო, წესით, ნორმალური, ჯანმრთელი, ღირსეული ადამიანი ასე უნდა მოიქცეს. მიმაჩნია, რომ სალომე ზურაბიშვილი ნორმალური, ჯანმრთელი, ღირსეული ადამიანია და უნდა გადადგეს.

იმპიჩმენტი შედგება თუ არა, არც ჩემთვის, არც საქართველოს მოსახლეობისა და არც ევროპული ქვეყნების ლიდერებისთვის მნიშვნელობა აღარ აქვს.

წესით და რიგით, სალომე ზურაბიშვილს იმპიჩმენტისთვის უნდა დაესწრო და გადამდგარიყო. ეს ერთი გზა იქნებოდა. მეორე გზაა, დეკემბრის დასაწყისში შექმნილი ვითარების გამო გადადგომა.

– რას გულისხმობთ?

– ევროკავშირის კანდიდატობაზე აუცილებლად უარს გვეტყვიან და მისთვის სასარგებლო ვითარება შეიქმნება. ამიტომ მისი პრეზიდენტობა ბოლო ვადამდე არ მივა.

– რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ევროკავშირი კანდიდატის სტატუსზე უარს გვეტყვის?

– სტატუსის მოცემა თუ უნდოდათ, შარშან ამ დროს უკრაინასა და მოლდოვაზე წინ ვიყავით და მოგვცემდნენ. ჩვენთვის სტატუსის მოცემა არ უნდათ, რადგან ჩვენ რუსეთსა და თურქეთს შორის ბუფერი ვართ, ბუფერი ვართ არაბულ სამყაროსა და ევროპას შორის. ამიტომ ჩვენ ასე უნდა ვიყოთ.

– მით უმეტეს, თუ ბუფერი ვართ, ბუფერი რომ არ დაიხუროს, ევროპელებს არ ურჩევნიათ, კანდიდატის სტატუსი მოგვანიჭონ?

– მე რომ ვიყო, საქართველოს კანდიდატის სტატუსს აუცილებლად მივანიჭებდი. ამით რუსეთს საქართველოსკენ გზას ერთხელ და სამუდამოდ ჩავუკეტავდი, მაგრამ ევროპასაც არ აინტერესებს, საქართველო ევროპაში იქნება თუ არა.

ევროპა მოწადინებული არ არის, რომ ჩვენ ევროკავშირში ვიყოთ. 12 კრიტერიუმიდან პრაქტიკულად ყველა შესრულდა, ზოგი ბოლომდე, ზოგი – ნაწილობრივ, მაგრამ ევროკავშირი ბოლო მონაცემებითაც კი, კიდევ ახალ პრეტენზიებს აყენებს. ძალაობა რომ არის, ვიღაც ჯიბრში რომ გიდგას, ქუდი რატომ არ გახურავსო, ისეა.

– ანუ თქვენ ვარაუდობთ, რომ პრეზიდენტი შეიძლება გადადგეს მაშინ, თუ კანდიდატის სტატუსს არ მოგვანიჭებენ?

– ყოველ შემთხვევაში, ახალი წლის შემდეგ (100%ით) სალომე ზურაბიშვილი აღარ იქნება. დეკემბერში რომ გადადგეს, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნაბიჯი იქნება. ახლა რომ გადადგეს, ღირსების საკითხიც არის. ახლა გადადგომით ღირსეულად გამოვა – ლეგიტიმაცია დაკარგა და სახლში წავიდა.

– მე ვფიქრობ, რომ სალომე ზურაბიშვილი ევროკავშირის სტატუსს დაელოდება.

– ევროკავშირის სტატუსს რომ დაელოდება, მისი რეიტინგი დაბლა დაიწევს. დღეს, მიუხედავად იმისა, სასამართლომ კანონდარღვევა დაადგინა, მისი რეიტინგი ოპოზიციურად მოაზროვნე ადამიანებში აიწია.

თუ სალომე ზურაბიშვილი უახლოეს დღეებში არ გადადგება და დეკემბერში გადადგება, ყველა მიხვდება და ყველა იფიქრებს, რომ ამას კიდევ პოლიტიკოსობაზე რაღაც ამბიციები აქვს. ახლა უნდა გადადგეს, ამომრჩევლების ხმები რომ მიიღოს.

– ანუ თქვენ სალომე ზურაბიშვილს ურჩევთ, გადადგეს?

– დიახ, მისი პოლიტიკური მომავლისთვის სჯობს, უახლოეს ხანში გადადგეს. თუ, რასაკვირველია, პოლიტიკურ მომავალზე ფიქრობს. ვიცი, რომ სალომე მის პოლიტიკურ მომავალზე ფიქრობს.

– სალომეს იმპიჩმენტი და გადადგომა ხელს ხომ არ უწყობს, ჩვენთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე უარის თქმას?

– არც ხელს უწყობს და არც უშლის. ევროკავშირს ჩვენი საკითხი უკვე გადაწყვეტილი აქვს. შარშანაც გადაწყვეტილი ჰქონდა.

სამართალი

რატი ბრეგაძე: „რომელიც სრულიად გაუგებარია, რატომ გაიწელა ამდენ ხანს ოთარ ფარცხალაძისთვის მოქალაქეობის შეწყვეტა“

იუსტიციის მინისტრის, რატი ბრეგაძის განცხადებით, როდესაც იუსტიციის სამინისტროსთვის გახდა ცნობილი, რომ საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს, ოთარ ფარცხალაძეს საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად ჰქონდა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, იმავე დღეს მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება და გადაუგზავნა პრეზიდენტს რეკომენდაცია ოთარ ფარცხალაძისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე.

შესაბამისი განცხადება იუსტიციის მინისტრმა სასტუმრო „შერატონში“ ჟურნალისტებთან გააკეთა, სადაც აშშ-ს ახალ ელჩითან, რობინ დანიგენთან, პოლიტიკოსებსა და „ენჯეოებს“ შორის გაცნობით შეხვედრა გაიმართა.

ბრეგაძის განმარტებით, მეორე სახელმწიფოს შეუძლია არ გასცეს მოქალაქეობასთან დაკავშირებით ინფორმაცია, რადგან ეს არის პერსონალური ხასიათის ინფორმაცია, ამიტომ იუსტიციის სამინისტროსთვის არ იყო ცნობილი, რომ ოთარ ფარცხალაძეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობაც ჰქონდა.

– ბევრმა ადამიანმა შეიძლება მიიღოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქემ, არამედ სხვა სახელმწიფოს მოქალაქემაც მიიღოს, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობა, ამის შესახებ ინფორმაცია ავტომატურად ხომ არ ვრცელდება?! იმიტომ, რომ ეს არის პერსონალური ხასიათის ინფორმაცია და სხვა სახელმწიფოს შეუძლია, საერთოდ არ გასცეს პერსონალური ხასიათის ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, ეს ჩვენთვის არ იყო ცნობილი. როდესაც სახელმწიფოსთვის ოფიციალურად გახდა ცნობილი და როდესაც შესაბამისი დოკუმენტაცია მივიღეთ, მას მერე დავიწყეთ პროცესი. სხვადასხვა სახელმწიფოში არსებობს ორმხრივ და, მათ შორის, მრავალმხრივ მოქალაქეობაც.

შეიძლება სხვა ბევრ მოქალაქეს ჰქონდეს მიღებული სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა ისე, რომ ეს ქართული სახელმწიფოსთვის არ იყოს ცნობილი, – განაცხადა ბრეგაძემ.

მინისტრის თქმით, ეს არ არის ხარვეზი და ყველა ქვეყანაში ასეა.

– მას შემდეგ, რაც ოფიციალურად ხდება ცნობილი მერე წყდება მოქალაქეობა, – აღნიშნა მან.

ბრეგაძის თქმით, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ გაიწელა ფარცხალაძისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა, რადგან სამინისტრომ პრეზიდენტს შესაბამისი რეკომენდაციით დიდი ხნის წინ მიმართა.

– ჩემთვის ეს იყო სრულიად გაუგებარი ფაქტი, თუ რატომ გაიწელა ამდენ ხანს. ჩვენ დიდი ხნის წინ მივაწოდეთ პრეზიდენტს ამის შესახებ რეკომენდაცია და ჩვენი გადაწყვეტილება და თუ აქამდე, რატომ არ მიიღო ქალბატონმა პრეზიდენტმა შესაბამისი გადაწყვეტილება, ჩემთვის ეს ფაქტი ამოუხსნელია, – განაცხადა ბრეგაძემ.

რუსთავში 11 წლის გოგო კორპუსიდან გადავარდა

რუსთავში, გურამიშვილის ქუჩაზე, მე-3 სართულიდან 11 წლის გოგო გადმოვარდა. საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ცნობით, მოზარდი სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა თბილისში, „ჯეო ჰოსპიტალში“ გადაიყვანა.

როგორც სამედიცინო დაწესებულებაში გაგვიცხადეს, პაციენტის ჯანმრთელობა კრიტიკულად სტაბილურად ფასდება.

11 წლის გოგოს მრავლობითი მოტეხილობა და ფილტვის დაჟეჟილობა აღენიშნება.

როგორი იყო მმართველი ელიტა ფეოდალურ საქართველოში

ქართველი მეფეები კარგი მხედართმთავრები იყვნენ, რადგან ტახტის მემკვიდრის აღმზრდელის – ათაბაგის ინსტიტუტთან ხშირად ჯარის მეთაურის – ამირსპასალარის თანამდებობა იყო გაიგივებული.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფო მმართველობა დიდ და რთულ მექანიზმს მოიცავდა. იგი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეების დროს ჩამოყალიბდა, დროთა მანძილზე იცვლებოდა და უკვე მე-13 საუკუნის დასაწყისში ერთიანი, ძლიერი ფეოდალური მონარქიის პირობებში, დასრულებული სახე მიიღო. მეფე უზენაეს ხელისუფლად ითვლებოდა, რომელიც შეუზღუდავი უფლებით სარგებლობდა. მეფესთან არსებობდა ფეოდალთა სათათბირო ორგანო – დარბაზი. იგი დიდებულ ერისთავთა და ადგილობრივ გამგებელ-მოხელეთა დაწესებულება იყო. დარბაზის სხდომებზე ანუ დარბაზობაზე სახელმწიფოებრივი საკითხები წყდებოდა: საკანონმდებლო, ომის გამოცხადება-დაზავება, დიდ ხელისუფალთა დანიშვნა.

საზეიმო სხდომები იყო, რასაც დიდ დარბაზობად მოიხსენიებდნენ. დარბაზის მოწვევას მეფე ბრძანებდა და სხდომებსაც თვითონ თავმჯდომარეობდა. დავით აღმაშენებლის მიერ შეიქმნა პირველი ვაზირის – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელო. აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, სამეფო ხელისუფლების მმართველობითი აპარატი გაიზარდა და თანდათან დაიხვეწა. ამასთან, ჩამოყალიბდა მეფესთან არსებული მმართველ-განმკარგულებელი ორგანო – სავაზირო, მთელი თავისი სამოხელეო აპარატით. ერთიანი ცენტრალიზებული სამეფოს ხანაში საქართველოს მართვა-გამგეობა სწორედ სავაზიროს საშუალებით ხორციელდებოდა. ეს იყო საქართველოს მთავრობა, რომლის თითოეულ წევრს გარკვეული უწყება ებარა. მათ მეფე ეთათბირებოდა, როცა სახელმწიფო საქმეები იყო გადასაწყვეტი.

* * *

საქართველოს სამეფოს უმაღლესი თანამდებობის პირები – მინისტრები არაბული ტერმინოლოგიით ვაზირებად იწოდებოდნენ. თამარ მეფემ ახალი ვაზირის – ათაბაგის – თანამდებობა შემოიღო. რუსუდანის მეფობის დროს მსახურთუხუცესიც ვაზირის რანგში აიყვანეს. საბოლოოდ, საქართველოს სამეფოს სავაზირო ამ სახით ჩამოყალიბდა: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. ვაზირებს შორის მწიგნობართხუცეს-ჭყონდიდელი მეფის შემდეგ პირველი პირი და მთავრობის მეთაური იყო. დანარჩენები, შესაბამისი საპატიო სახელოების მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი შეადგენდნენ „სამ ვაზირთა“ ჯგუფს, რომელიც უფრო მაღლა იდგა „ორ ვაზირთა“ ჯგუფზე, რომელთაც განეკუთვნებოდნენ მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. ყველა ვაზირს, ათაბაგის გარდა, განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა. ისინი სხვადასხვა რანგის მრავალრიცხოვან მოხელეთა შტატისგან შემდგარ განსაკუთრებულ უწყებებს ხელმძღვანელობდნენ.

ქართული სამოხელეო აპარატი ორი ნაწილისგან შედგებოდა: დარბაზის რიგის მოხელენი, რომლებიც სამეფო კარზე მსახურობდნენ და ცენტრალურ აპარატს ქმნიდნენ და მეორე, „საქვეყნოდ გამრიგენი“, ანუ ადგილზე დანიშნული მოხელენი, რომლებიც ცენტრის ნება-სურვილს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში აღასრულებდნენ.

საქართველოს ძლიერების პერიოდის სახელმწიფოს საზღვრებში არაქართული ტერიტორიებიც შემოდის, იქმნება მათი მართვის სისტემაც: სამეფო ტახტი ერთ ნაწილს უშუალოდ იერთებდა, ქვეყნის ფარგლებში აქცევდა და ისე მართავდა. მეორეს კი ყმადნაფიცისა და მოხარკის მდგომარეობაში აყენებდა.

მთავრობის მეთაური და პირველი მინისტრი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ვაზირთა შორის მეფის უახლოესი მრჩეველი, თანაშემწე და მოადგილე იყო. იგი მეფის „მამად“ მოიხსენიებოდა და ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფოს ყველა უწყება-დაწესებულებაზე. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ერთსა და იმავე დროს, მეფის მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც. მისი საშუალებით მეფეს ადვილად შეეძლო საეკლესიო საქმეებში ჩარევა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს სახელმწიფო ქონების ყოველწლიური აღწერა და კონტროლი ევალებოდა. არსენალის, ანუ ზარდახანის შემოწმების დროს მასთან ერთად მონაწილეობდა ზარდახანის მწიგნობარიც, ხოლო საწოლი დარბაზის შემოწმებისას – საწოლის მწიგნობარი, რომელიც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელზე უშუალოდ დაქვემდებარებულ მოხელეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა. საწოლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მოადგილედ ითვლებოდა და სავაზიროს სხდომებსაც ესწრებოდა. ფეოდალურ საქართველოში 26 მწიგნობრის არსებობა დასტურდება. მათ განსაკუთრებული სამოხელეო ნიშანი, ე.წ. საწერელი ჰქონდათ.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი უმაღლესი სასამართლო ძალაუფლებით იყო აღჭურვილი. იგი „სააჯო კარს“ ედგა სათავეში. მას მეფის სახელით, საკუთარ თანაშემწესთან ერთად (საწოლისა და ზარდახანის მწიგნობართუხუცესი), განაჩენი გამოჰქონდა. სავაზიროში ომისა თუ მშვიდობის გამოცხადება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები მეფისა და მწინობართუხუცეს-ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით წყდებოდა. ეს ინსტიტუტი საეროსთან ერთად საეკლესიო ძალაუფლებასაც ფლობდა. მას ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო მონასტრებისა და ეკლესიის ხელისუფალნი. ის პირველი მინისტრის პატივში იყო აყვანილი. ისტორიული წყარო გვამცნობს, როცა მას სასახლიდან მიაცილებდნენ, მსახურები ორი ანთებული ჩირაღდნით უნათებდნენ გზას. ეს მაშინ, როცა ათაბაგს, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს ერთი ჩირაღდნით მიჰყვებოდნენ, სხვები კი ამ პატივს საერთოდ იყვნენ მოკლებულნი.

ამ მნიშვნელოვანი თანამდებობის ზეგავლენა დროთა მანძილზე დაქვეითდა და მე-15 საუკუნის ბოლოს საბოლოოდ მოისპო, რაც საქართველოს პოლიტიკურმა და ეკლესიურმა დაშლამ განაპირობა.

* * *

ათაბაგობა სამცხის მთავართა ტიტულად იქცა, საქართველოში ათაბაგი ერთ-ერთი უპირველესი ვაზირი იყო, რომლის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ტახტის მემკვიდრის აღზრდა იყო. ათაბაგობა ჩვენში მსხვილ ფეოდალთა განდიდების ტენდენციის ზრდის კვალობაზე მოხდა. თავისი პატივით, იგი ვაზირთა შორის მეორე რანგში განიხილებოდა მწინობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ. თუმცა, ეს თავიდან იყო, ათაბაგი იმთავითვე დაუპირისპირდა პირველი ვაზირის თანამდებობას. ხშირად ათაბაგობასთან ამირსპასალარობა იყო შეთავსებული. საქართველოს პოლიტიკური დაშლის შედეგად ათაბაგის, როგორც ვაზირის, სახელო მოისპო.

ამირსპასალარი, ანუ სამხედრო უწყების ხელმძღვანელი, მუდმივ ჯარს, მეფის მონასპას, საფეოდალოებად გამოყვანილ ლაშქარს და დაქირავებულ რაზმებს განაგებდა. გამუდმებულ საომარ მდგომარეობაში მყოფი საქართველოსთვის ამ თანამდებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მართალია, ლაშქრობის დროს ჯარებს მეფე ხელმძღვანელობდა, მაგრამ მისი არყოფნისას მთავარსარდლის ფუნქციას ამირსპასალარი ასრულებდა. ქართველი უფლისწული ბატონიშვილები სამომავლო ლაშქრობისთვის თავიდანვე ემზადებოდნენ, ამიტომ ამირსპასალარის სახელოს მფლობელს მათი სამხედრო აღზრდის საკითხის მოგვარებაც ევალებოდა. ხშირად ამირსპასალარობას ტახტის მემკვიდრის აღმზრდელის – ათაბაგის თანამდებობასაც უთავსებდნენ. მშვიდობიანობის დროს ამირსპასალარი ჯარების წვრთნისა და მათი მომზადების საკითხს განაგებდა. ამასთან, მეცხოვნეთა გარნიზონებს პირადად ამოწმებდა. სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად, ქვეყნის თავდადებული მეომრებისთვის მიწების მფლობელობაში გადაცემის საკითხს მეფე სამხედრო მინისტრთან ათანხმებდა.

მეფედ კურთხევისას ამირსპასალარი უფლისწულს წელზე ხმალს შემოარტყამდა. ეს სრული სამხედრო ძალაუფლების მინიჭებას ნიშნავდა. სამეფო სასახლის ცერემონიებზე ამირსპასალარს თვალსაჩინო ადგილი ეკავა, ხოლო მეფედ კურთხევის დროს ხელმწიფისთვის წელზე ხმლის შემორტყმის გამორჩეული უფლება ენიჭებოდა. ამირსპასალარს სხვადასხვა რანგის მრავალრიცხოვანი მოხელე ემორჩილებოდა, მათ შორის, ყველა სპასალარი, გარნიზონის მეთაური და ცალკეული რაზმის ხელმძღვანელი. ამირსპასალარსა და მის ქვეშევრდომთ იარაღის მუდმივად ტარების უფლება ჰქონდათ.

საქართველოს ერთიანი სამეფოს დანაწილების შემდეგ კი ეს თანამდებობაც მოისპო.

მედიცინა

ნერვული დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

უძილობა



– დამაწყნარებელი ჩაი: კატაბალახას ფესვები – 2 ნაწილი, გვირილას ყვავილები – 3 ნაწილი, კვლიავის ნაყოფი – 5 ნაწილი.

* * *

– 10 გრამი კუნელის ყვავილს დაასხით 100 მლ არაყი. გააჩერეთ 21 დღე ბნელ ადგილზე. გაწურეთ. მიიღეთ 20-25 წვეთი 3-ჯერ დღეში ჭამამდე 30 წუთით ადრე.

* * *

– 35 გრამ ნიახურის ფესვს დაასხით 1 ლიტრი ცივი, ანადულარი წყალი, გააჩერეთ 8 საათს და გაწურეთ. სვით თითო ჩაის კოვზი, დღეში სამჯერ.

* * *

– ძილის წინ გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, შემდეგ კი გაიკეთეთ ფეხების აბაზანა თბილი წყლით ან ფეხებთან დაიდეთ ცხელი სათბურა. ეს პროცედურა ძილის სურვილს გამოიწვევს იმის ხარჯზე, რომ სისხლის ნაწილი თავიდან გადანაწილდება სხეულის ქვედა ნაწილში. უკეთესი ეფექტისათვის ბალიშის ქვეშ დაიდეთ ქსოვილის ტომსიკა სვიის გამხმარი გირჩებით.

* * *

– ბალიშის ქვეშ ამოიდეთ სვიის ან არყის ფოთლები. ან დაიძინეთ ბალიშზე, რომელიც გატენილია ხმელი სვიის ან ტყის ბალახებისაგან. გარდა ამისა, ძილის წინ მიირთვით 1 სუფრის კოვზი თაფლი.

* * *

– ქრონიკული უძილობის შემთხვევაში ჩაიტარეთ სუნთქვითი ვარჯიშები. მოეწყვეთ მოხერხებულად და ისუნთქეთ ღრმად და ნელა, თან დათვალეთ ჩასუნთქვით რაოდენობა. ეცადეთ, შეამციროთ ჩასუნთქვის რიცხვი წუთში და დაიყვანეთ ის ნორმიდან ნახევრამდე. ეს ვარჯიში ჩაატარეთ 5-ჯერ დღეში.

* * *

– 2 სუფრის კოვზ დანაყილ თალგამის ძირხვენას დაასხით წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში, დღეში ერთხელ დალიეთ მეოთხედი ჭიქა ან ძილის წინ დალიეთ ერთი ჭიქა.

* * *

– ძილის წინ მიირთვით ხახვი, ასევე კარგია 1 ჭიქა რძის მიღება.

* * *

– 100 გრამ წვრილად დაჭრილ კუნელის ნაყოფს დაასხით 1 ლიტრი 70 პროცენტიანი სპირტი. მიიღეთ 3-ჯერ დღეში 50 წვეთის ოდენობით.

* * *

– კუნელის ნედლი ყვავილებისაგან ნაყენის მოსამზადებლად რეკომენდებულია ერთ ნაწილს სრულიად ახლადგაშლილ ყვავილებს დაესხას 10 ნაწილი (1 გრამი-10 გრამი) 70 გრადუსიანი სპირტი 7 დღის დაყენების შემდეგ იღებენ 15-30 წვეთს 2-3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

* * *

– თუ უძილობა გაწუხებთ, ეცადეთ არ დაიღალოთ გონებრივი მუშაობით საღამოობით, ადრე ივახშმეთ და ადრე დაწექით დასაძინებლად, სასარგებლოა ძილის წინ ფეხებზე თბილი ან ცხელი აბაზანების გაკეთება. შემდეგ დალიეთ 1 ჭიქა ცხელი ტკბილი წყალი ან რძე. უკეთესია, 1 ჭიქა ცხელი ტკბილი წყალი ან რძე. უკეთესია, 1 ჭიქა კატაბალახას ძირების ცხელი ნაყენი (1ჩ/კ 1 ჭიქა მდუღარეზე 20 წუთი გააჩერეთ). შეიძლება ამოიდოთ ბალიშის ბვეშ 1 მუჭა სვია, საკმაო რაოდენობით ხახვის მიღება ასევე იძლევა ღრმა ძილის საშუალებას.

* * *

– 2 ჩაის კოვზი, 0,5 მმ-მდე სიგრძის დაჭრილი თავშავას ბალახს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ 15-20 წუთის განმავლობაში და გაფილტრეთ. მიიღეთ თბილ მდგომარეობაში ჭამამდე 15-20 წუთით ადრე ნახევარი ჭიქა დღეში 3-4-ჯერ.

* * *

– მიიღეთ თხაწართხალას ნახარში როგორც ჩაი. 100 გრამი თხაწართალას ფოთლებს დაასხით 1 ლიტრი ადუღებული წყალი.

* * *

– მიიღეთ კატაბალახას ფესვების ფხვნილი 1-2 გრამის ოდენობით დღეში 3-4-ჯერ.

* * *

– კატაბალახას ფესვები დავაქუცმაცოთ და 100 გრამ მიღებულ ნედლეულს დავასხათ 500 გრამი 70 გრადუსიანი სპირტი ან მაგარი არაყი. გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე 1 კვირის განმავლობაში. ამის შემდეგ მიღებულ სითხეს გაწურავთ თავის ნარჩენებიანად. მიიღეთ 15-20 წვეთი დღეში სამჯერ.

* * *

– დღეში ორჯერ, სადილობისა და ძილის წინ აძლევენ ერთ ნატეხ შაქარზე ან 1 ჩაის კოვზ წყალში განზავებით 5-7 წვეთ სვიის ნაყენს. ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: სვიის ნაყოფების ერთ წონით ნაწილზე იღებენ ოთხ წონით ნაწილ სპირტს.

* * *

– ერთ ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ სვიის ნაყოფს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი. მიიღეთ ყლუპ-ყლუპად, უმჯობესია საღამოობით.

* * *

– 2 ჩაის კოვზი წვრილად დაჭრილი ტყის ჩიტისთვალას დაასხით 1 ჭიქა ცივი წყალი. გააჩერეთ 8-10 საათის განმავლობაში. სვით ერთი ჭიქა ერთი დღის განმავლობაში. საჭიროა სიფრთხილე. დიდი დოზით მიღება იწვევს პირღებინებას, თავის ტკივილს, თავბრუსხვევას.

* * *

– ხალხურ მედიცინას არ მოეპოვება უკეთესი საშუალება უძილობის წინააღმდეგ, ვიდრე 2 ჩაის კოვზი თაფლი, რომელსაც დამატებული აქვს 2 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი. მივიღოთ დღეში სამჯერ.

* * *

– ძილის წინ დაასველეთ წინდები ძმრიან წყალში, გაწურეთ, ჩაიცვით, ზემოდან კი ამოიცვით მშრალი წინდები. ამ დროს ხდება სისხლის სხეულის ზედა ნაწილიდან ქვედაში მიქცევა.

სტრესი

– სტრესის მოხსნის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ხერხი მუსიკის მოსმენაა. 15 წუთის განმავლობაში კლასიკური მუსიკისა მოსმენა ანელებს პულსს, სისხლის წნევა და ტემპერატურა მცირდება. ყველაზე კარგია მოცარტის, შუბერტის, ვივალდის და ბახის მოსმენა.

* * *

– ამერიკული ფსიქოანალიტიკოსები თავის პაციენტებს ურჩევენ დეპრესიული მდგომარეობის პერიოდში ყოველდღიურად ჭამონ 30 გრამი ნიგოზი, 20 გრამი ქიშმიში და 50 გრამი ყველი.

* * *

– მიიღეთ რეჰანის ფხვნილის 0,3 გრამი დღეში სამჯერ ჭამამდე 30 წუთით ადრე, დააყოლეთ ადუღებული წყალი.

* * *

– ცხელი რძის ერთ ჭიქაში შეურიეთ უმი კვერცხის გული, დაუმატეთ ცოტა შაქარი და აუჩქარებლად დალიეთ.

* * *

– მოამზადეთ ნარევი ალოეს 300 გრამი ფოთლების, 250 გრამი თაფლის, 0,7 ლ შავი ღვინისაგან. ნარევი ჩაასხით მუქი მინის ქილაში და გააჩერეთ 5 დღე ბნელ, გრილ ადგილას. მიიღეთ თითო ჩაის კოვზი დღეში სამჯერ ჭამამდე.

* * *

– ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ერთი ფინჯანი ყავა დილით ხსნის თავის ტკივილს, გვიცავს სტრესებისა და დეპრესიისაგან, და რაც მთავარია, აუმჯობესებს შრომისუნარიანობას.

* * *

– ჩამოჯექით სკამის ნაპირზე, დაუშვით ხელები მოშვებულ მდგომარეობაში. აიხედეთ მაღლა ჭერში, დათვალეთ ათამდე. ღრმად ჩაისუნთქეთ, ამოისუნთქვის დროს კი დაიხარეთ მუხლებისაკენ, უცქირეთ იატაკს, ჩაისუნთქეთ, ამოსუნთქვისას ნელა გასწორდით.

ავდეევკასთან განადგურებულია რუსების 4 ბატალიონი

ზამთრის მოახლოებასთან ერთად რუსეთ-უკრაინის ფრონტზე სიახლეებმა იმატა, მაგრამ ეს არ არის ის, რასაც კრემლი მოელოდა. ჯერ კიდევ ზაფხულში ვლადიმერ პუტინი აცხადებდა, რომ 7 ოქტომბერს კუპიანსკს აიღებდნენ. ეს არ გამართლდა. მართალია, რუსებმა კუპიანსკთან დიდი ძალები გადაისროლეს, მაგრამ მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწიეს.

ასევე წარუმატებელი გამოდგა შეტევები ლიმანისა და სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით. ოკუპანტებმა ვერც აქ მიაღწიეს წარმატებას. ცალკე საუბრის თემაა ავდეევკა. რუსებმა აქ დიდი ძალები გადაისროლეს, მაგრამ ამან მხოლოდ მათ რიგებში გაზარდა დანაკარგები. ავდეევკასთან განადგურებულია რუსების 4 ბატალიონი. დაიწვა 60-მდე ტანკი და სხვა სამხედრო ტექნიკა.

უკრაინელებმა თავის მხრივ განახორციელეს დარტყმები ოკუპირებულ ტერიტორიაზე. შედეგად განადგურდა სამხედრო აეროდრომები ლუგანსკსა და ბერდიჩევში. აფეთქდა სამხედეო საწყობები.

უკრაინელები მხოლოდ ამას არ დასჯერდნენ. მათ განახორციელეს დარტყმები კურსკზე, ბრიანსკზე, ბელგოროდზე. ეს ქალაქები რუსეთ-უკრაინის საზღვავარზე მდებარებენ, ამიტომ მათზე დარტყმებმა ვერავინ გააკვირვა. გაცილებით მეტი ეფექტი ჰქონდა განმეორებით დარტყეებს სოჭზე, კრასნოდარზე, ადლერზე. ამან რუსების რიგებში პანიკა გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ ამ დარტყმებამდე ერთ დღით ადრე პუტინმა საზეიმოდ გამოაცხადა, რომ უკრაინული კონტრშეტევა ჩაიშალა, ახლა ჩვენ საკუთარ რუსულ შეტევას ვიწყებთო. მომხდარმა რუსეთის დიქტატორი ელემენტარულად სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა. აშკარად გამოჩნდა, რომ უკრანელთა კონტრშეტევა არ დამთავრებულა. ის გრძელდება და ალბათ ზამთარშიც გაგრძელდება. ეს რუსეთის არმიას სავალალო მდგომარეობაში აყენებს. რუსებს ზაპოროჟიეს სტეპებში გამოზამთრება მოუწევს. შედეგად რუსეთის არმია ისევე გაიყინება, როგორც პაულიუსის მხედრობა სტალინგრადთან.

ამრიგად რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვილებები მართლაც მოხდა, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც პუტინი ვარაუდობდა. უკრაინელები შეტევას განაგრძობენ. რუსეთი კი უძლურია, ამას რაიმე ქმედითი დაუპირისპიროს.

ბაიდენი ისრაელში ჩავიდა



აშშ-ის პრეზიდეტი ბაიდენი ისრალეში ჩავიდა. მისი ამოცანა იყო ცნობების შეგროვება შექმნილ სამხედრო მდგომარეობაზე, აშშ-ის მოქალაქეებზე, რომლებიც ჰამასმა მძევლებად აიყვანა, ისრაელის მოქალაქეებზე, რომლებიც ჰამასმა ასევე დაატყვევა.

ისრაელიდან ბაიდენი ეგვიპტეში გაემგზავრა.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 4.981; საბრძოლო ბრნირებული მანქანები – 9.420; არტილერია – 6.944; თვითმფრინავები – 319.

განადგურებულია 290.050 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

მაშველებმა დათვთან გამოქვაბულში ჩავარდნილი ძაღლი გადაარჩინეს

აშშ-ში მეხანძრე-მაშველებმა გამოქვაბულში ჩავარდნილი ძაღლი გადაარჩინეს, მიუხედავად მოულოდნელად წარმოქმნილი წინააღმდეგობისა.

ძაღლი სახელად ჩარლი პატრონთან ერთად სეირნობის დროს მოულოდნელად ვიწრო გამოქვაბულში ჩავარდა და იქ სამი დღე გაატარა. აღნიშნული შემთხვევა გრეიტ-სმოკი-მაუნტინსის ეროვნულ პარკში მოხდა, რომელიც ტენესის შტატის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მამაკაცმა მისი ამოყვანა თავად ვერ შეძლო და დახმარებისთვის სამაშველო სამსახურს მიმართა.

სპეციალისტებმა გამოარკვიეს, რომ შინაური ცხოველი გამოქვაბულში დაახლოებით 12 მეტრის სიღრმეში იმყოფებოდა და მისი პატრონის მიმართვიდან მეორე დღეს სამაშველო ოპერაციას შეუდგნენ. როდესაც მაშველები გამოქვაბულში ჩაშვებას შეუდგნენ, შენიშნეს, რომ მათ ქვევით, დაახლოებით მეტრნახევარში შავ დათვს ეძინა. ძაღლი კი ამ დროს კიდევ უფრო ქვევით იმყოფებოდა.

მაშველებმა ერთი შეხედვით დაადგინეს, რომ მათ წინ ახალგაზრდა, დაახლოებით 90 კილოგრამი წონის შავი დათვი იმყოფებოდა. მათ ღამის ხედვის მოწყობილობები დააყენეს და გადაწყვიტეს ადგილზე მაშინ დაბრუნებულიყვნენ, როდესაც დათვი სანადიროდ წავიდოდა.

დათვმა გამოქვაბული მეორე დღეს დატოვა და მაშველებმა ძაღლის გადარჩენის ოპერაცია განაახლეს. გამოქვაბულში სამი მეხანძრე-მაშველი თოკებით ჩაეშვა, მაგრამ ძაღლს ვერსად მოჰკრეს თვალი. მათ იფიქრეს, რომ ის კიდევ უფრო ღრმად იყო ჩავარდნილი, ისეთ ადგილას, რომელსაც ძალიან ვიწრო ხვრელი ჰქონდა. ამ დროს ერთ-ერთმა მათგანმა ძაღლის საყელურს მოჰკრა თვალი. ის მართლაც ოდნავ უფრო ქვევით იყო ჩავარდნილი, მაშველებმა თოკისგან მარყუჟი გააკეთეს, ცხოველს გადააცვეს და მისი დახმარებით ამოიყვანეს გამოქვაბულიდან. აღსანიშნავია, რომ დათვს მისთვის რაიმე სახის დაზიანება არ მიუყენებია.

ჩარლი მშიერი და დასუსტებული იყო, თუმცა სხვა მხრივ სრულ წესრიგში იმყოფებოდა. ძაღლი მის გახარებულ პატრონს ჩააბარეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

34 წლის წინ გატაცებული ნახატი ქვეყნის მეორე ბოლოში აღმოაჩინეს

დიდი ბრიტანეთის ქალაქ გლაზგოში 34 ნლის წინ გატაცებული რობერტ ჯემალ ჰატჩინსონის ნახატი „ბავშვები თავთხელში“ დააბრუნეს.

ცნობილი შოტლანდიელი მხატვრის ნაშრომი გლაზგოს მუზეუმიდან 1989 წელს გაიტაცეს. მძარცველებმა მუზეუმში ფანჯრიდან შეაღწიეს და ნახატთან ერთად გაიტაცეს რამდენიმე ფაიფურის თოჯინა და ქოთანი.



მრავალი წლის განმავლობაში გატაცებული ნახატის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, თუმცა, 2022 წელს ის მოულოდნელად გამოჩნდა ქვეყნის მეორე ბოლოში, ჩრდილოეთ იორკშირში, ქონების გაყიდვის დროს. ის შენიშნეს ორგანიზაციის სპეციალისტებმა, რომელიც მოპარული ხელოვნების ნაწარმოებების, ანტიკვარიატისა და საკოლექციო ნივთების მოძიებითაა დაკავებული. მათ მონაცემთა ბაზაში 700-ზე მეტი სხვადასხვა ლოტზეა მონაცემები.

როგორც კი ექსპერტებმა ნახატის ნამდვილობა დაადასტურეს, მისმა გამყიდველმა თავადვე გამოთქვა მისი შოტლანდიაში გადაგზავნის სურვილი.

მამაკაცი სკოლაში შეიპარა და საცვალი მოიპარა

ამერიკის ფლორიდის შტატში კერძო სკოლის ტერიტორიაზე შეიპარა მამაკაცი, რომელმაც დარაჯს მზესუმზირა შეუჭამა და საცვალი მოიპარა.



46 წლის ედვინ დეჰესუსმა კვირას დღისით შეაღწია კერძო ევანგელისტურ-ქრისტიანული სკოლის ტერიტორიაზე, რომელიც ქალაქ ფორტმაიერსში მდებარეობს. ამ დროს დასვენების დღე იყო და ამიტომ შენობა ცარიელი იყო.

ღობეზე გადაძრომის შემდეგ, დეჰესუსმა, რომელსაც თავზე მიკიმაუსის ქუდი ეხურა, სკოლის ერთ-ერთი კარის გაღება სცადა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ყველა კარი ჩაკეტილი იყო. მაშინ მამაკაცმა მიწაზე დაგდებული პლასტიკატის კონტეინერის თავსახური აიღო და კარის გაღება მისი დახმარებით სცადა, მაგრამ ვერც ამ მცდელობამ გაუმართლა. შემდეგ მან სკოლის ავტობუსთან გადაინაცვლა, თუმცა, იქ ვერაფერი აღმოაჩინა და გოლფ-კარში გადაინაცვლა. იქ მან წაუძინა. სამი საათის ძილის შემდეგ, მან იქვე მამაკაცის საცვალი აღმოაჩინა, მიისაკუთრა, მის სანაცვლოდ კი თავისი მიკი-მაუსის ქუდი დატოვა.

შემდეგ მან დარაჯის ოთახში შეაღწია, რომელიც სკოლის შესასვლელთანაა განთავსებული. იქ მან მზესუმზირის მარცვლები იპოვა, მათი დიდი ნაწილი შეჭამა და ნაფცქვენები ირგვლივ მიმოფანტა. დეჰესუსმა სკოლის ტერიტორია შუაღამისას დატოვა.

ორშაბათს სამსახურში მისულ სკოლის თანამშრომლებს ადგილზე სრული არეულობა დახვდათ და ვიდეოკამერების ჩანაწერები ნახეს. პოლიციელებმა წესრიგის დამრღვევის ვინაობის დადგენა მოახერხეს. დეჰესუსი ოთხშაბათს ავტოგასამართი სადგურის მახლობლად დააკავეს და ძარცვის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ბითაძემ წააგო, შერმადინი იგებს

ნბა-ს ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ ეტაპზე, გოგა ბითაძის ორლანდო მეჯიქი, ორი გამარჯვების შემდეგ ნიუ ორლეანს პელიკანსთან დამარცხდა – 92:104.

საქართველოს ნაკრების ცენტრი ისევ 12 წუთი ათამაშეს, რა დროშიც 9 ქულის დაგროვება მოასწრო. ბითაძემ 3-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, პერიმეტრიდან ორჯერ ისროლა და ერთხელ იხეირა. გოგას აქტივში 4 მოხსნა და 2 ასისტი ჰქონდა, ხოლო პასივში 2 დაკარგვა.

მეჯიქიდან საუკეთესოები გერმანელი მსოფლიოს ჩემპიონები – ფრანც და მორიტც ვაგნერები იყვნენ. ფრანცმა 19 ქულა დააგროვა, მისმა ძმამ – 16.

ნბა-ს ახალი სეზონი 25 ოქტომბერს იწყება, ორლანდოს პირველი პიუსტონ როკეტსთან აქვს. შეგახსენებთ, რომ ნბა-ში მეორე ქართველიც, სანდრო მამუკელაშვილიც თამაშობს, რომელიც სან ანტიონიო სფურსის კალათბურთელია.

გადმოვინაცვლოთ ევროპაში, სადაც საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში გიორგი შერმადინის ტენერიფემ ფრანგულ შოლეს უმასპინძლა და მეტოქე გაანადგურა. ესპანურმა გუნდმა მატჩი 20 ქულით მოიგო – 95:75.

არადა ტენერიფემ პირველი პერიოდი 9 ქულით დათმო, მაგრამ პირველი ტაიმი მაინც მოიგო, რის შემდეგაც მეტოქეს მესამე და მეოთხე მეოთხედებში შანსი არ დაუტოვა.

შერმადინის კლუბმა ბოლო მეოთხედში მეტოქეს 13 ქულით აჯობა (29:16) და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

ჩვენებურმა პარკეტზე 19 წუთი გაატარა, რა დროშიც 12 ქულა, 2 მოხსნა და 3 პასი დააგროვა. მან 8-დან 5 ორქულიანი და 5-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

შერმადინის გუნდი მომდევნო ტურში თურქულ დარუშაფაქას შეხვდება, რომელმაც ლატვიურ რიგას სტუმრად აჯობა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მამაკაცს შეყვარებულის მიმართ ალერგია გაუჩნდა

სოციალური ქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა განაცხადა, რომ მის ბოიფრენდს მის სხეულზე ალერგია გაუჩნდა.

19 წლის გოგონა და მისი 22 წლის შეყვარებული ერთმანეთთან დისტანციურად ურთიერთობენ და ერთმანეთს თვეში ორ-სამჯერ თუ ხვდებიან. მეორე შეხვედრის დროს ახალგაზრდა მამაკაცს მოულოდნელად სურდო და სხეულის ქავილი დაეწყო. მან ექიმს მიმართა, რომელმაც დაადგინა, რომ მას მრავალ ქიმიურ ნივთიერებაზე ალერგია ჰქონდა.

ამის გამო გოგონას უამრავ კოსმეტიკურ საშუალებაზე მოუხდა უარის თქმა, რათა მამაკაცში ალერგიის პროვოცირება არ გამოეწვია.

– ჩვენი ბოლო შეხვედრის წინ ტანსაცმელი და თეთრეული ისეთი სარეცხი საშუალებით გავრეცხე, რომელიც სრულიად უსაფრთხოა ალერგიული ადამიანებისთვის. არ ვიყენებ ისეთ სუნამოებს ან პროდუქტებს, რომლებზეც მას ალერგია აქვს, – განაცხადა გოგონამ.

ამის მიუხედავად, შეხვედრის შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცს მაინც დაეწყო ალერგია და აქედან გამომდინარე, გოგონა ფიქრობს, რომ მისი შეყვარებულთან თანაცხოვრება შეუძლებელია.

პენსიაზე გასულმა ქალმა ლატარიაში მილიონი მოიგო

აშშ-ში ქალმა პენსიაზე გასვლასთან ერთად მომენტალური ლატარიის გათამაშებაში მილიონი დოლარი მოიგო.

იღბალმა მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ არლინგტონის მცხოვრებ სიუზენ მაქსველს გაუღიმა. ხანშიშესული ქალბატონი პენსიაზე 1 ოქტომბერს გავიდა, ხუთი დღის შემდეგ კი მოგების მისაღებად ლატარიის ოფისში მივიდა.

მაქსველმა, რომელსაც შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები ჰყავს, განაცხადა, რომ ეს ორი მოვლენა ერთმანეთს არ უკავშირდება. პენსიაზე გასვლა და დასვენება მას ადრევე ჰქონდა გადაწყვეტილი, ვინაიდან მიხვდა, რომ ამის დრო მოსული იყო.

ქალმა გადაწყვიტა, მოგებული თანხა დაუყოვნებლივ და ერთიანად მიეღო და არა ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ. ასე რომ, გადასახადების გადახდის შემდეგ მისმა მოგებამ 650 ათასი დოლარი შეადგინა და ის ამ თანხის ოჯახის წევრებისთვის განაწილებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ახალგაზრდული ფრე და შანსი

საქართველო-შვედეთი 0:0

ბათუმი. აქარა ბეთ არენა

საქართველო: ხარატიშვილი, ოდიშარია (გ.მამაგეიშვილი 65), მაისაშვილი, გოგლიჩიძე, ხვადაგიანი, მამაცაშვილი, სიგუა, ლ.გაგნიძე, ლომინაძე, ო.მამაგეიშვილი, კვერნაძე (აბუაშვილი 85)

შვედეთი: დოვინი, მენდესი, ვიდელი, ტოლინსონი (სმაილოვიჩი 75), სვენსონი, აიარი, გიგოვიჩი, როსენგრენი (ბერგვალი 83), ლაჰდო (ნ.პერსონი 75), სვედბერგი (ქასემი 61), ჟილჰელმსონი (ი.პერსონი 61)

საქართველოს 21-წლამდე ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგი ტურის მეორე მატჩი შვედეთის წინააღმდეგ ბათუმში ფრედ – 0:0 დაასრულა.

მატჩი, რომელიც წუთიერი დუმილით დაიწყო, დაძაბული გამოდგა. მთელი თამაში ჩვენი გუნდის უპირატესობის ფონზე წარიმართა. შეხვედრის მანძილზე, შვედეთის კარს სახიფათოდ უტევდნენ.

შესვენების შემდეგაც საქართველოს ნაკრები მეტოქეს ისევ მაღალი პრესინგით ეთამაშებოდა, ბურთს უკეთ აკონტროლებდა და მთლიანობაში კარგადაც თამაშობდა, მაგრამ... მომენტების რეალიზაციას ვერ ახერხებდა.

შორეული დარტყმებითაც სცადეს გატანა ნოდარ ლომინაძემ, გიორგი კვერნაძემ და ორჯერ გიზი მამაგეიშვილმა, მაგრამ სკანდინავიელთა მეკარე დოვინი საიმედოდ იცავდა კარს. მერე იყო კვერნაძის პასი საჯარიმოში, სადაც ოდიშარიამ ხელსაყრელ სიტუაციაში ბურთი მცველს მოარტყა...

ერთ-ორჯერ შვედებმაც „გვიჩხვლიტეს". ბოლოსკენ კი, ჯერ ოთო მამაგეიშვილმა სცადა გატანა, მაგრამ კარს ააცილა, შემდეგ კონტრშეტევაზე ოთხი ორზე ვუტევდით და კვერნაძემ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო.

შედეგად, მივიღეთ დასანანი ფრე და შემცირებული, მაგრამ ჯერ კიდევ კარგი შანსი, რათა ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშოთ...

რამაზ სვანაძე:

– დაძაბული მატჩი იყო. ამას ველოდით, რადგან შვედეთი ძალიან კარგი გუნდია, რომელსაც კარგი ფეხბურთელები ჰყავს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი თამაშის ხარისხი. დასანანია, რომ საკმაო მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ბოლო ორ შეხვედრაში ბევრი მომენტი შევქმენით და სამწუხაროა, რომ სათანადოდ ვერ გამოვიყენეთ, ამაზე სამუშაო გვაქვს, რაც ბიჭებმაც იციან. რაც გვქონდა დაგეგმილი, შევასრულეთ, როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში. ვერ მოვიგეთ, მაგრამ ეს არის ახალი გზა, რომელსაც ამ ახალ თაობასთან ერთად გავდივართ. საწყისები კარგია, გუნდი თამაშიდან თამაშამდე პროგრესირებს. წელს ერთი მატჩი დაგვრჩა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომდევნო წელს სხვა გუნდი ვიქნებით, რადგან შეთამაშების ხარისხი გაიზრდება და პლუს რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი დაგვემატება. განსაკუთრებით ფორვარდები, რომლებიც ჩვენ ძალიან გვჭირდება.

ჩვენივე ჯგუფში 10-კაციანმა მოლდოვამ შინ 2:1 მოუგო ჩრდილოეთ მაკედონიას, ხოლო გიბრალტარმა შინ 0:5 წააგო ნიდერლანდებთან.

საატურნირო ცხრილი:

1. ნიდერლანდები	4	4	0	0	13-0	12
2. შვედეთი	4	2	1	1	9-1	7
3. საქართველო	4	2	1	1	3-3	7
4. მოლდოვა	5	2	0	3	5-10	6
5. ჩრ.მაკედონია	3	1	0	2	2-4	3
6. გიბრალტარი	4	0	0	4	1-15	0

17-წლამდე ნაკრები ელიტ რაუნდში გავიდა

საქართველოს 17-წლამდე ნაკრები ელიტრაუნდში ითამაშებს. გიორგი ჩიტაურის გუნდი ევროპული დონის გუნდებთან თამაშშს გაიხსენებს, სადაც გამოჩნდება კიდეც მათი ნამდვილი ძალა.

ქუთაისში გამართულ ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს უნაკლოდ არ უთამაშია, მაგრამ შედეგს მიაღწია.

არადა, ჩვენებმა ჯგუფური ეტაპი ცუდად დაიწყეს და პირველივე მატჩი ავსტრიასთან 1:2 წააგეს. თავდაპირველად ავსტრიელები დაწინაურდნენ, შემდეგ ჩვენებმა გაათანაბრეს, მაგრამ მატჩის ბოლო წუთზე გავუშვით და წავაგეთ.

მეორე ტურში დანიას მოვუგეთ, რომელსაც მანამდე ლიეტუვა ჰყავდა დამარცხებული. სკანდინავიელებთან 2:0 დავწინაურდით, შემდეგ ერთი კი გავუშვით, მაგრამ საქმე გამარჯვებამდე მივიყვანეთ.

ჯგუფის მესამე მატჩში ლიეტუვის ნაკრებთან ქულაც გვეყო, მაგრამ პარალელურად მიმდინარე მატჩში დანიას რომ გაეტანა და მოეგო...

ჩვენები მე-5 წუთზე რეზი დანელიას გოლით დაწინაურდნენ; სამ წუთში გიორგი ყავლაშვილმა ნედას გარბალიაუსკასის პენალტი აუღო; 85-ე წუთზე ლიეტუველებმა მაინც გაათანაბრეს – ამჯერად ყავლაშვილმა უხეში შეცდომა დაუშვა და – 1:1.

ბოლო წუთებში კი ვინერვიულეთ, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა...

ელიტრაუნდში 32 ნაკრები 4-გუნდიან 8 ჯგუფში გადანაწილდება წილისყრის შედეგად, რომელიც დეკემბერში გაიმართება. ამ 8 ჯგუფის გამარჯვებული, 7 საუკეთესო მეორეადგილოსანი და პლუს მასპინძელი კვიპროსი ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ.

ელიტრაუნდის მატჩები მარტში გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი კი გაისად, 20 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით ჩატარდება.

დოპინგთან ბრძოლა გამკაცრდება

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (სეოკ) პრეზიდენტის ლერი ხაბელოვის ხელმძღვანელობით აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს.

სეოკ-ის აღმასკომმა მოისმინა საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს ვიცე-პრეზიდენტის თეიმურაზ უკლებასა და საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტის ზურაბ კახაბრიშვილის ინფორმაცია, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ქართულ სპორტში აკრძალული პრეპარატების გამოყენების დაფიქსირებულ შემთხვევათა და დოპინგთან ბრძოლის მდგომარეობას ეხებოდა.

სეოკ-ის აღმასკომი მიიჩნევს, რომ დოპინგთან ბრძოლის საქმეში სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა და ნაკრებ გუნდებთან მომუშავე სამედიცინო ჯგუფის წევრებმა მომთხოვნელობა და კონტროლი შეასუსტეს, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირებისა და კარსმომდგარი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების წინ.

აღმასკომი მხარს უჭერს სეოკ-ის პრეზიდენტის ლერი ხაბელოვის წინადადებას იმის თაობაზე, რომ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებამდე თამაშებში მონაწილე უკლებლივ ყველა სპორტსმენმა გაიაროს შესაბამისი დოპინგტესტი.

სეოკ-ის აღმასკომი ეროვნული სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებს, საქართველოს ოლიმპიურ გუნდთან მომუშავე სამედიცინო ჯგუფის წევრებს, ნაკრების წევრებსა და მათ მწვრთნელებს მოუწოდებს, გამოიჩინონ მაქსიმალური ყურადღება და დაიწესონ მკაცრი კონტროლი, მათ შორის საყოფაცხოვრებო დონეზეც კი, რათა აკრძალული პრეპარატების თუნდაც შემთხვევითი მიღების პრეცედენტები გამოირიცხოს.

აღმასკომის სხდომაზე სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ისაუბრა მე-3 ევროპულ თამაშებზე და ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები შედეგების შესახებ.

მთლიანობაში, მე-3 ევროპულ თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა გამოსვლა ჩაითვალა წარმატებულად. გამოირჩა ახალგაზრდულ ევროპულ ფორუმზე საქართველოს ჭაბუკი ძიუდოისტების მიერ ნაჩვენები მაღალი სპორტული შედეგები.

აღმასკომის წევრებმა ასევე მოისმინეს ინფორმაცია 2024 წლის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისთვის (განგვონი, სამხრეთ კორეა) მზადების მიმდინარეობის შესახებ.

ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – ბაკურიანი 2025-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარემ მამუკა ხაბარელმა აღმასკომის წევრებს ანგარიში ფესტივალის მზადებისა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე ნაჩვენები პრეზენტაციის შესახებ წარუდგინა.

სხდომაზე სეოკ-ის 2023 წლის საანგარიშო სესიის თარიღად განისაზღვრა 22 დეკემბერი, ასევე დამტკიცდა დღის წესრიგი და რეგლამენტი.

ასევე იმსჯელეს სეოკ-ის წესდების მე-4 თავის 1.1.1. მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სეოკ-ის აღმასკომის უფლებამოსილების ფარგლებში საანგარიშო სესიაზე წარსადგენ სეოკ-ის სუბიექტთა და პერსონალურ პირთა განსაზღვრის შესახებ.

აღმასკომის წევრებმა ასევე იმსჯელეს საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების, კერძოდ – მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შესაბამისად, სეოკ-ის რეგიონული ორგანიზაციების სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით სეოკ-ის აღმასკომმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ცხრა ევრომონაწილე ცნობილია

დასრულდა ევრო 2024-ის შესარჩევი ტურნირის მორიგი სანაკრებო ფანჯარა. დარჩენილია ორი ტური, რომელიც ნოემბერში გაიმართება და ცნობილი გახდება 21 გუნდი, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ. კიდევ სამი მათგანი კი, 26 მარტს ერთა ლიგის ფლეი ოფების შემდეგ გამოვლინდება.

საქართველოს ნაკრები სწორედ მარტში გაარკვევს, ითამაშებს თუ არა ევროპირველობაზე. მანამდე კი, ცნობილია გერმანიაში წამსვლელი ცხრა მონაწილე, რომლებმაც ევროპირველობაზე თამაში ტრადიციული, შესარჩევი ეტაპით მოიპოვეს:

გერმანია (მასპინძელი), ბელგია, საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი, შოტლანდია, თურქეთი, ავსტრია, ინგლისი.

ევრო 2024-ის ფინალური ტურნირის წილისყრას 2 დეკემბერს ჰამბურგი უმასპინძლებს.

შედეგები

17 ოქტომბერი

ფეხბურთი

ევრო 2024. შესარჩევი ეტაპი

ფინეთი-ყაზახეთი 1:2
ინგლისი-იტალია 3:1
ლიტვა-უნგრეთი 2:2
მალტა-უკრაინა 1:3
სან მარინო-დანია 1:2
ჩრ.ირლანდია-სლოვენია 0:1
სერბეთი-ჩერნოგორია 3:1

მრ-2026. შესარჩევი ეტაპი

სამხრეთ ამერიკა

ვენესუელა-ჩილე 3:0
პარაგვაი-ბოლივია 1:0
ეკვადორი-კოლუმბია 0:0
ურუგვაი-ბრაზილია 2:0
პერუ-არგენტინა 0:2

აზია

გუამი-სინგაპური 0:1
მონღოლეთი-ავღანეთი 0:1
პაკისტანი-კამბოჯა 1:0
შრი ლანკა-იემენი 1:1
აღ.ტიმორი-ტაიპეი 0:3
მაკაო-მიანმა 0:0
ბანგლადეში-მალდივი 2:1
ბუტანი-ჰონკონგი 2:0
ლაოსი-ნეპალი 0:1
ბრუნეი-ინდონეზია 0:6

ამხანაგური მატჩები

იაპონია-ტუნისი 2:0
კორეა-ვიეტნამი 6:0
კაბო ვერდე-კომორი 1:2
მალაიზია-ტაჯიკეთი 0:2
ჩრ.მაკედონია-სომხეთი 3:1
ანგოლა-კონგო 0:0
იორდანია-ერაყი 2:2
ზამბია-უგანდა 3:0
ს.არაბეთი-მალი 1:3
მადაგასკარი-ბენინი 2:1
ალბანეთი-ბულგარეთი 2:0
ბაჰრეინი-ფილიპინები 1:0
ემირატები-ლიბანი 2:1
სირია-კუვეიტი 1:2
ესტონეთი-ტაილანდი 1:1
გვინეა-გაბონი 1:1
კატარი-ირანი 0:4
მავრიტანია-ბურკინა ფასო 1:2
ავსტრალია-ახ.ზელანდია 2:0
კოტ დივუარი-ს.აფრიკა 1:1
საფრანგეთი-შოტლანდია 4:1

ეჩ-2025. შესარჩევი ეტაპი

ლატვია-თურქეთი 2:1
ალბანეთი-ჩერნოგორია 2:0
ყაზახეთი-ესპანეთი 0:4
აზერბაიჯანი-ლუქსემბურგი 3:2
სომხეთი-შვეიცარია 0:0
საქართველო-შვედეთი 0:0
ლიეტუვა-ისლანდია 0:1
მოლდოვა-ჩრ.მაკედონია 2:1
რუმინეთი-ფინეთი 1:0
ბულგარეთი-კოსოვო 1:1
გიბრალტარი-ნიდერლანდები 0:5
ხორვატია-ბელარუსი 2:0
უნგრეთი-ბელგია 0:1
იტალია-ნორვეგია 2:0
პოლონეთი-ესტონეთი 5:0
სლოვენია-ავსტრია 1:0
ჩეხეთი-დანია 0:0
საფრანგეთი-კვიპროსი 0:0
შოტლანდია-მალტა 2:1
ანდორა-ფარერები 0:1
პორტუგალია-საბერძნეთი 2:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯროსვოხდი ბ



შვეულად: 1. ძველი ქართული დამწერლობა; 2. განთავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 3. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 4. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 5. ამერიკული ავია-კოსმოსური კონცერნი; 8. ფერადი მინის ან მარმარილოს ნახატებისგან შექმნილი ნახატი ან ორნამენტი; 9. პირველი ამერიკელი კოსმონავტი ქალი; 12. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 13. ავსტრალიური სირაქლემა; 16. ქართველი ნიჩბოსანი, ევროპის ჩემპიონი; 17. ყირიმის ძველი სახელწოდება; 19. მკბენარა მწერი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

თარაზულად: 6. ლატვიის ძველი სახელწოდება; 7. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. კოსმოსური ხომალდის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დედამიწაზე დასაშვებად; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი შინაური ცხოველი; 11. ირლანდიური ცეკვა; 14. წყნარი ოკეანისპირა პოპულარული კურორტი მექსიკაში; 15. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 18. ებრაული წესით დამზადებული ღვინო; 21. მკვრივი ქანების სანგრევი, ორწვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 22. პატარა ბაღი; 23. ფარული დაცინვა; 24. ასტრონომიული ხელსაწყო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯროსვორდების პასუხები:

ჯროსვორდი ა

შვეულად: 1. მაჭარი; 2. ბონი; 3. პაგინაცია; 4. დუომო; 5. დიუპონი; 8. ჭანები; 9. სამტრედია; 12. ლომისა; 14. ბილონი; 16. ოტელო.

თარაზულად: 1. მზეჭაბუკი; 6. ხანჯლური; 7. ჭრიჭინა; 9. სტრიტი; 10. ჯოჯო; 11. ლეჩხუმი; 13. ტიბრი; 15. დომინო; 17. მარსელო; 18. ნინიძე; 19. ქსენძი; 20. რონალდუ.

ჯროსვორდი ბ

შვეულად: 1. ემბარგო; 2. პუშკინი; 3. გიორგობა; 4. თემიდა; 5. თავთუხი; 8. ბანკეტი; 9. ბირთვისი; 12. ტრაულერი; 13. კალმახი; 16. ჭყონდიდი; 17. ფერმერი; 19. იბერია; 20. დურუჯი.

თარაზულად: 6. ამაშუკელი; 7. ჰეტმანი; 8. ბარონი; 10. გრაფიკა; 11. ზული; 14. ტრავოლტა; 15. ჰამბურგი; 18. იყალთო; 21. ბახმარო; 22. ფუქსი; 23. ალგეთი; 24. ციციშვილი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

19 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6925

ევრო — 2.8422

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2789

100 რუსული რუბლი — 2.7647

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულიან ალვარესი შესაძლოა ბარსელონას ფეხბურთელი გახდეს

მანჩესტერ სიტის არგენტინელი ფორვარდი ხულიან ალვარესი შესაძლოა ბარსელონაში ვიხილოთ, რადგან ბარსელონა ახალი თავდამსხმელის ძიებაშია და ალვარესი კატალონიელების პრიორიტეტად ითვლება.

გარდა ამისა, ალვარესი არცთუ ხშირად ხვდება მანჩესტერ სიტის ძირითად შემადგენლობაში და ეს ფაქტორიც შესაძლოა მნიშვნელოვანი გახდეს. ხულიანმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ მას ბარსელონაში თამაში სურს.

ლიონელ მესი: „ნაკრებში თამაში სიამოვნებას მანიჭებს“

არგენტინის ნაკრებმა სტუმრად პერუს დამარცხება შეძლო, ანგარიშით 3:0 და სამივე გოლი ლიონელ მესის ანგარიშზეა. მატჩის შემდეგ მესიმ თქვა, რომ მას ნაკრებში თამაში სიამოვნებს და იცის, რომ ჯერ არ სურს ნაკრებიდან წასვლა:

– მიხარია, რომ გოლები გავიტანე და ნაკრებში თამაში ჩემთვის განსაკუთრებულია. პერუ ცუდი გუნდი არ არის, მაგრამ ჩვენ ყველაფერი იდეალურად გავაკეთეთ. არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონია და ჩვენგან ყოველთვის გამარჯვებას ელიან.

გვარდიოლა: „გულშემატკივარი ძველ მანჩესტერ სიტის მალე იხილავს“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ გულშემატკივარი ძველ მანჩესტერ სიტის მალე იხილავს და ორი მარცხი არ ნიშნავს იმას, რომ გუნდს კრიზისი აქვს:

– უკვე ხშირად მესმის საუბრები იმის შესახებ, რომ სიტის კრიზისი აქვს. მერწმუნეთ, ეს ასე არ არის. მალე გულშემატკივარი ძველ სიტის იხილავს და ჩვენ მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

არსენ ფოჩხუას 100 წლის იუბილე გამოფენით აღინიშნა

მხატვარ არსენ ფოჩხუას საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში გამოფენა გაიხსნა და საიუბილეო წიგნ-ალბომის პრეზენტაცია მოეწყო.

„დიდოსტატი არსენ ფოჩხუა“ – ასე ჰქვია ექსპოზიციას, სადაც წარმოდგენილი ნამუშევრები თემატურად არის შერჩეული. დამთვალიერებელი ნახავს გულსაკიდებს, გულსაბნევებს, მძივებს, როგორც მამონტის ეშვზე, ისე კოლხურ ბზაზე ამოწვის ტექნიკით შესრულებულ ნამუშევრებს, ქართული ორნამენტით ნაკვეთ ბროლის ლარნაკებს, ლანგრებს, კოლხური ბზისგან გაკეთებულ ჭვირულ ლარნაკებს, დეკორატიულ დანებს. გამოფენაზე წარმოდგენილია გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები, დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“, ქართველი მეფეებისა და ისტორიული მოღვაწეების პორტრეტები, საქართველოს მხარეების თემაზე შექმნილი რელიეფური კომპოზიციები, ალეგორიული და თავისუფალი თემატიკის ნამუშევრები, ქართული ორნამენტების ესკიზები, ბროლის ლანგრები და ლარნაკები, მცირე ფორმის ნიმუშები...

გამოფენის გამართვის იდეა გასულ წელს თეა წულუკიანს არსენ ფოჩხუას ოჯახში სტუმრობისას გაუჩნდა. ხელოვანის ქვრივის სურვილით, მინისტრი ქუთაისში ხელოვანის ოჯახს ეწვია და მისი ნამუშევრები დაათვალიერა. შეხვედრისას ქალბატონმა ლია ქურციკიძემ თავისი მეუღლის ნამუშევრების გამოფენის სურვილი გამოხატა. კულტურის მინისტრმა ქალბატონ ლიას გამოფენის მოწყობაში დახმარება აღუთქვა და აღნიშნა, რომ მხატვრის საიუბილეო წელს მოეწყობოდა ექსპოზიცია და მომზადდებოდა კატალოგი.

რაც შეეხება მხატვრის საიუბილეო ალბომს, მასში საზოგადოება გაეცნობა არსენ ფოჩხუას თანამედროვე დიდი მოღვაწეების შეფასებასა და ლადო გუდიაშვილის წერილს მის შესახებ. შესავალ სტატიაში საუბარია დიდი ოსტატის შემოქმედების შესახებ. ალბომში შეტანილია ხეზე კვეთის ოსტატის სხვადასხვა დროს შექმნილი თემატური თუ ალეგორიული ნაწარმოებები, გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები და მისი უნიკალური ქართული ორნამენტის ნიმუშების ესკიზები და გრაფიკული ნამუშევრები.

პროექტის ავტორებმა არსენ ფოჩხუას ორნამენტებითა და სხვადასხვა ესკიზით შექმნილი გასაფერადებელი რვეულებიც დაბეჭდეს, რათა ხელი შეუწყონ ბავშვებისა და ახალგაზრდების მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებასა და ქართული ორნამენტის თავისებურებების შესწავლას. ბავშვებისთვის გასაფერადებელი რვეულების გამოცემა ხელს შეუწყობს მხატვრის შემოქმედების პოპულარიზაციასაც.

წიგნ-ალბომში საუბარია არსენ ფოჩხუას შემოქმედებაზე და მის მნიშვნელობაზე ქართული ხალხური ხელოვნების განვითარებაში. წინასიტყვაობაში გაერთიანებულია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების გამონათქვამები ხელოვანის შემოქმედების შესახებ. წინასიტყვაობის ნაწილი ეძღვნება არსენ ფოჩხუას მიერ ქაშუეთის ფრესკების შექმნასა და ლადო გუდიაშვილთან ურთიერთობას, ბროლზე ქართული ორნამენტებისა და ფიგურული გამოსახულებების შექმნას. განსაკუთრებით ყურადღებაა მხატვრის მიერ შექმნილი ქართული ორნამენტები, რომლებშიც ახლებურად არის დამუშავებული ტრადიციული ქართული ჩუქურთმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მზია ნიორაძე ამერიკაში დააჯილდოვეს

ოპერის მომღერალი მზია ნიორაძე ამერიკაში დააჯილდოვეს. ჯილდო მან თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მიიღო:

– დიდ მადლობას ვუხდი ჩემი შემოქმედების დაფასებისთვის უდიდეს ქველმოქმედს, ქალბატონ დიანა ბაგრატიონსა და ქალაქ ნიუ-იორკის სენატორს ჯესიკა სკარჩელლა-სპანტონს.

ვალერიან შიუკაშვილი სოლო-კონცერტს გამართავს

პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი სოლო-კონცერტს გამართავს.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში ხელოვანი მონატრებულ მსმენელს 23 ოქტომბერს შეხვდება. საკონცერტო პროგრამაში ამჯერად მხოლოდ მოცარტის ნაწარმოებები აჟღერდება.

ინგა ფერაძე მახათას პანთეონში დაკრძალეს

მომღერალი ინგა ფერაძე ბრიუსელიდან საქართველოში ჩამოასვენეს და მახათას პანთეონში დაკრძალეს. 76 წლის ასაკში გარდაცვლილ მომღერალს მეგობრები, კოლეგები, რიგითი მსმენელები ფილარმონიის დარბაზში გამოეთხოვნენ.

ანრი ჯოხაძე, მომღერალი:

– შეუდარებელი ინგა ფერაძის უკანასკნელი გზა...

მის რამდენ კოლეგას გეკუთვნოდათ აქ დგომა, აღარ ვიტყვი, უბრალოდ „გახსოვდეთ, რომ პანთეონებიც სასაფლაოებია.“

ნიკა ნიკვაშვილი, პიანისტი:

– მაშინ, ალბათ, 25 ან 26 წლის ვიყავი, როდესაც ღრმა ბავშვობის შემდეგ ინგა ფერაძის სახელმა ახლიდან შემახსენა თავი, ეს მრავალწლიანი პაუზის შემდეგ მის სცენაზე გამოსვლას უკავშირდებოდა და მომენტალურად დავურეკე ჩემს მანანა მენაბდეს, კითხვით, თუ იცნობდა და თუ დამაკავშირებდა ინგას, რა თქმა უნდა, მანანამ ძალიან ოპერატიულად, მეორე დღესვე გაუკეთა ორგანიზება აღნიშნულ საკითხს და ამ დღიდან ძალიან მოკლე დროში ავიღე ბილეთი და გავემგზავრე ბელგიაში ინგასთან, ვიცოდი, რაც მინდოდა, მაგრამ სად მივდიოდი, ეგ არ ვიცოდი... სურვილი მხოლოდ ერთი იყო, რომ ინგას სიმღერები, ყველაფერი აღმედგინა და შემდეგ ალბომის სახით გამოგვეცა, ვგრძნობდი მის უნიკალურ ხმასა და პიროვნებას, რომლის ყურადღების გარეშე დატოვებაც უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. ჩავედი ბრუსელში და ინგა მატარებლის ბაქანზე დამხვდა, ორივე დაბნეულები ვიყავით, ცოტა უცნაურად მიყურებდა, მეც დაახლოებით ასევე. უკვირდა, ასეთ ახალგაზრდას რატომ მოგინდა ჩემი ალბომისა და სიმღერების გაკეთებაო... დავიწყეთ მუშაობა, როიალის ნაცვლად ორღანზე გვქონდა რეპეტიციები, გამომიცხადა, მეტი არ მაქვსო. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემი და ინგულის განსაკუთრებულად ძალიან თბილი, გამორჩეული ურთიერთობა, ადამიანი, რომლის კეთილშობილებასაც არანაირი საზღვარი არ გააჩნდა, უანგაროდ, ბოლომდე ერთგული... ალბომს „ოქროყანის აღმართი“ დავარქვით.

ყველაზე დიდი ოცნება საქართველო, სიმღერა იყო...

მახათის მთაზე, პანთეონში სამუდამოდ დარჩა თავის სამშობლოში – ინგულ, მეც ძალიან მიყვარხარ.

კატო ჯავახიშვილი, პოეტი:

– სადღაც, ამ ქვეყნიდან შორს, თბილისიდან შორს, ოქროყანის აღმართიდან, ბათუმიდან, ინგას საქართველოდან შორს, სადღაც ბელგიაში, უცხოობაში, წავიდა ამ ქვეყანას დანატრებული ინგა ფერაძე. ვერ მოვასწარით, ვერ ჩამოვიყვანეთ. მიდის ალბათ თავისი ოქროყანის აღმართისკენ. როგორ მწყდება გული. ვერაფერი, ვერაფერი გავაკეთეთ ამ ადამიანისთვის.

ზაირა არსენიშვილის პროზაული კრებული გამოიცემა

მწერალ ზაირა არსენიშვილის ერთგულ მკითხველს სასიამოვნო სიახლე ელოდება – სულ მალე მისი პროზაული კრებული „ერთსა კაცსა ბლისკინელსა...“ გამოვა.

ეს მწერლის მეორე პროზაული კრებულია, რომელიც მოთხრობების გარდა, აერთიანებს სხვადასხვა დროს დაწერილ პიესებს, რადიო თავისუფლების დღიურებსა და მოგონებებს თავისი ახლობლებისა და მისი თანამედროვე საუკეთესო ადამიანების, საუკეთესო ქართველების შესახებ.

თუ ზაირა არსენიშვილის სხვა ნაწარმოებებში მოქმედება XX საუკუნის პირველ ნახევარში ხდება, ამ მოთხრობებში ძირითადად ასახულია, XX საუკუნის ბოლოს, საბჭოთა სისტემის რღვევასთან ერთად, საქართველოში განვითარებული მოვლენები: ეროვნული მოძრაობის აღორძინება, დაპირისპირება პოლიტიკურ ნიადაგზე საზოგადოებასა და ცალკეულ ოჯახებში, ცხოვრების სიძნელეები 90-იან წლებში, ომი, ემიგრაცია, ქართული სოფლის თანდათანობით დაცლა... ეს ყველაფერი ავტორისთვის დამახასიათებელი მდიდარი ქართული ენითა და სევდანარევი იუმორით არის დაწერილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

უიშვიათესი ხუთფუნტიანი კუპიურა ათი ათასობით ფუნტად გაიყიდა

დიდ ბრიტანეთში უიშვიათესი ხუთ-ფუნტიანი კუპიურა ნომინალზე ათასჯერ მეტ თანხად გაიყიდა.

აუქციონზე გასაყიდად იყო გამოტანილი ხუთი ფუნტი სტერლინგის ნომინალის კუპიურა, რომელიც ლიდსში ინგლისის ბანკის განყოფილებამ 1900 წელს გამოუშვა. მისი განმასხვავებელი ნიშანია ჰორას ბუენის ხელმოწერა, რომელიც 1893-დან 1902 წლის ჩათვლით ინგლისის ბანკის მთავარი მოლარე იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი ხელმოწერით მხოლოდ რამდენიმე კუპიურაა შემორჩენილი და ყველა მათგანი კერძო კოლექციაში ინახება.

აუქციონის სახლის სპეციალისტებმა ლოტი 16 ათას ფუნტ სტერლინგად შეაფასეს, თუმცა, ვაჭრობის მსვლელობისას მისი ფასი 32 ათას ფუნტ სტერლინგამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს 1862 წელს გამოშვებული მეორე ხუთ-ფუნტიანი კუპიურა 20 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. ღვინის დეგუსტატორის ძველებური სახელწოდება საქართველოში; 4. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 5. ქალაქი იმერეთში; 8. ტროპიკული მცენარეებისგან დამზადებული მუქი ლურჯი საღებავი; 9. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო თვითმფრინავში; 12. იაპონური მოტოციკლეტი; 14. შტატი აშშ-ში; 16. უბანი თბილისში.

თარაზულად: 1. კლდეში ნაკვეთი ისტორიული ქალაქი შიდა ქართლში; 6. შვედური კომპანია „იკეა“-ს მფლობელი; 7. გერმანული ფაშიზმი; 9. გია დანელიას კინოკომედია; 10. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 11. აზნაურის ტიტული საფრანგეთში; 13. მუსლიმანური კალენდარი; 15. სოფელთა სახელწოდება უკრაინაში; 17. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 18. გამომშრალი უკურკო გარგარი; 19. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 20. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა